მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №15-16(77-78) 2014 წ. 1-31 აგვისტო ფასი 1 ლარი

„მოსიარულე ბიბლიოთეკა“ საგარეჯოდან დაიწყო

მასშტაბური საგანმანათლებლო პროექტის „მოსიარულე ბიბლიოთეკის“ განხორციელება ორგანიზატორებმა – საპატრიარქოს ახალგაზრდული ორგანიზაცია „დავითიანნი“-ს, წიგნის მეგობრებისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „სტუდენტური ერთიანობის“ წარმომადგენლებმა პირველად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. პატარძეულის, კაკაბეთისა და ქ. საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკებით დაიწყეს.

პროექტის მხარდამჭერები არიან: სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი „ვისოლ ჯგუფი“, საპატრიარქოს ახალგაზრდული მოძრაობა “დავითიანნი“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, „პალიტრა – L”, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა.

„წიგნი ყველა სოფელს“გრძელვადიანი პროექტია, მისი ძირითადი მიზანი სოფლად წიგნადი ფონდის გაუმჯობესება და წიგნის კითხვის პოპულარიზაციაა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში „მოსიარულე ბიბლიოთეკას მასპინძლობას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხთა სამსახურის უფროსი ჯაბა რევაზიშვილი, კულტურის ობიექტების გაერთიანების დირექტორი ბესიკ ღვინაშვილი და გამგეობის თანამშრომლები უწევდნენ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესსამსახური

ინფორმაცია
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობლის მოადგილე
გიორგი რევაზიშვილი

დაიბადა 1975 წლის 25 მარტს, ქ. საგარეჯოში.

1981 წელს შევიდა საგარეჯოს I საშუალო სკოლაში და დაამთავრა 1992 წელს.

1992 წლის 1 ივლისიდან 27 აგვისტომდე მუშაობდა საგარეჯოს სამშენებლო სახელმწიფო საწარმო №1-ში მუშად.

1992 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მიიღო მშენებლობის ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაცია.

1997-98 წლებში მუსაობდა საგარეჯოს სამშენებლო-სახელმწიფო საწარმო №1-ში მშენებელ-ოსტატის თანამდებობაზე.

1998-2000 წლებში მსახურობდა სამხედრო სამსახურში, სადაც მუშაობდა ასეულის მეთაურის მოადგილის თანამდებობაზე.

2000-2003 წლებში მუშაობდა შპს „ფარნავაზ“-ში მშენებელ-ოსტატის თანამდებობაზე;

2003-2005 წლებში შპს „ინჟინრის“ პროექტის ინჟინერია;

2005 წლიდან 2014 წლის აგვისტომდე მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მთავარ მებაჟეოფიცრად.

ჰყავს მეუღლე და შვილი

ინფორმაცია
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობლის მოადგილე
დავით ივანიშვილი

დაიბადა 1972 წლის 30 ივლისს, საგარეჯოში.

1978 წელს შევიდა საგარეჯოს I საშუალო სკოლაში, რომელიც 1989 წელს დაამთავრა;

1991 წელს სწავლა განაგრძო თბილისის აგრარული უნივერსიტეტის აგროკომპლექსის დარგთა ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკულტეტზე, რომელიც 1996 წელს დაამთავრა.

ამავე წლიდან მუშაობდა შპს „თავთუხში“ ბრიგადირად.

ჰყავს მეუღლე და 3 შვილი.

მილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს **ფრიდონ ბურდულს**, ვუსურვებთ წინსვლას და წარმატებებს სამსახურებრივ საქმიანობაში.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო;

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 15 სექტემბერს.

ყურადღება
თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა
„ოფთალმიჯი“

ქ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელშეწყობით ქ. საგარეჯოში ფუნქციონირებას იწყებს თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა „ოფთალმიჯი“-ს მოძრავი (მობილური) საოპერაციო კლინიკა.

18 აგვისტოდან კლინიკაში იწარმოებს პაციენტების უფასო წინასაოპერაციო გამოკვლევები და საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ჩატარდება კატარაქტის, გლაუკომის და სხვა სახის ქირურგიული ოპერაციები.

ასევე ჩატარდება თვალის სხვა პათოლოგიების (ახლომხედველობა, შორსმხედველობა, ასტიგმატიზმი, სიელმე,დიაბეტური რეტინოპათია და სხვა) დიაგნოსტიკა და კონსერვატიული მკურნალობა შედავათიანი ღირებულებით.

მობილური კლინიკა განთავსდება ქ. საგარეჯოში, დ. აღმაშენებლის № 9 (გამგეობის შენობის ეზოში).

წინასწარი ჩაწერა შესაძლებელია ტელ: 599 53 44 97

გიორგი გზირიშვილმა მეომრების ხსოვნას პატივი მიაგო

აგვისტოს გმირები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გზირიშვილმა თანამშრომლებთან ერთად 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების რევაზ მამისაშვილის საფლავი სოფ. მარიამჯვარში და გია კირაკოზაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი სოფ. ჩაილურში ყვავილებით შეამკეს და მათ ხსოვნას პატივი მიაგეს. „ქედს ვიხრით ომში დაღუპული ვაჟკაცების წინაშე, ყველანაირად შევეცდებით მხარში დავუდგეთ დაღუპული გმირების ოჯახებს“ – განაცხადა გიორგი გზირიშვილმა და ოჯახის წევრებს ტრადიციულად ფულადი დახმარება გადასცა.

რევაზ მამისაშვილი – ლეიტენანტი, ოცეულის მეთაური დაიღუპა 8 აგვისტოს საბრძოლო მოქმედების დროს.

გია კირაკოზაშვილი მეოთხე ბრიგადის საარტილერიო შტაბის უფროსი, კაპიტანი. დაიღუპა 9 აგვისტოს ცხინვალის დაბომბვის დროს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესსამსახური

აგვისტოს ომი – ფაქიზილი

ჩვენი დროის გმირები

მარიამჯვარის მადლიანმა, თბილმა მიწამ მიიბარა 25 წლის ვაჟკაცი – ქართული მიწის, ჯარისკაცის ფიცის, მეგობრისა და თანამებრძოლის უდალატოდ დამცველი – **რეზო მამისაშვილი.** ჭეშმარიტი მამულიშვილი და მართლმადიდებელი, ასე იცნობდნენ თანატოლები და თანამებრძოლები რეზოს. ამიტომაც იყო მისგან სხვანაირად მოქცევას რომ არ მოელოდნენ – ომში დაღუპული მეგობრის სხეულის გამოსატანად იმ ადგილას შევიდა, საიდანაც იცოდა, სნაიპერი ცოცხალს აღარ გამოუშვებდა, მაგრამ სხვაგვარად არ შეეძლო...

მის თანამებრძოლთა ხსოვნაში რეზო ისეთად დარჩა, როგორიც იყო – ალალი, კეთილი, დაუზარელი, მუდამ საქართველოზე მლოცველი, თანამებრძოლებზე მზრუნველი. მიუხედავად ქართული ჯარის მკაცრი შინაგანაწესისა, ის მაინც ახერხებდა ლოცვების წაკითხვას, დედადვოისას ავედრებდა სრულიად საქართველოს და საქრისტიანოს გადარჩენას. ერთხელ, ლოცვისას მაღალჩინოსანმა შეუსწრო დაჩოქილს თურმე, მყის დააქვეითა ჩინით – ჯარისკაცი დაჩოქილი არ უნდა იყოსო. მხოლოდ შემდეგ მიხვდა შეცდომას, რომ არსთაგამრიგესა და ქვეყნიერების შემქმნელის წინაშე ყველა მუხლმოდრეკილი და ქედდადრეკილია...

ამოუცნობი, ფენომენალური ნიჭით იყო დაჯილდოებული დიდჩაილურელი **გია (გიორგი) კირაკოზაშვილი.** დიახ, ამოუცნობი – როგორ იტევდა ამდენ სიყვარულს, ადამიანებთან ურთიერთობის დაუთვლელ შესაძლებლობებს?! ბოლოსდაბოლოს, შეგიძლია თქვა, რომ მართლაც ღვთით ბოძებული უამრავი ნიჭით იყო დაჯილდოებული. უპირველესი კი სიყვარულის ნიჭით, სათნოების, კაცთმოყვარეობის, ქველმოქმედების, სტუმართმოყვარეობის. უბადლო თამადას, ტკბილმოუბარს, მოლექსესა და მომღერალს ყველას გულის დაპყრობა შეეძლო. ახლაც იხსენებენ ჩაილურელები – ვენახში მისი მუშაობა ზეიმი იყო და არა ფიზიკური შრომაო. ქართულ ხალხურ სიმღერაში დედაც აჰყვებოდა და ვენახს მათი მომიჯნავეებიც იმ დღეს ისე დაამუშავებდნენ, თითქოს ლხინის სუფრაზე ყოფილიყვნენ. ვიდეოფირებმაც შემოგვინახეს გიას თამადობის, მოლექსეობის, სიმღერების შესრულების თავისებური მანერები... მაგრამ, ვაგლახ, რომ დედას გიას გმირულად დაღუპვის ვიდეოკადრებიც აქვს – სნაიპერის ტყვიით განგმირული. გიას უკანასკნელი ამოსუნთქვა რომ შემორჩენია. გია იმ წუთში მეგობრის ცხედარის გამოსატანად იყო შესული. სწორედ იმ დროს რაციით გია კირაკოზაშვილის შტაბიდან საბრძოლო დავალებას გადმოსცემდნენ – თურმე უკანასკნელს და გიასგან შეუსრულებელს... დღეს გიას საგმირო საქმეებს თანამებრძოლები მისგან დანატოვარ სამ შვილს უყვებიან, ნაბოლარა კი – მარიამი საერთოდაც ვერ ნახა გიამ, მის უნახავად დაიბადა მისი ნანატრი გოგონა.

აგვისტოს ომს რეზოსა და გიას თანამებრძოლებიც შეეწირნენ, ომს, რომელმაც საქართველოს ისედაც დაფლეთილ სხეულს კიდევ ერთი დიდი, ღრმა და ღია ჭრილობა მიაყენა. ბიჭებს კი, სახელოვნად სამაჩაბლოს მიწის დამცველებს პირველ დღეებში დედის ცრემლის ნაცვლად ცა დასტიროდათ, ისე, როგორც ვაჟას აქვს ნათქვამი: „ცა გლოვობს, ტირის, ცრემლისას მიწაზე ადენს დარებსა, ისინიც რბიან ათას მხრივ, არ თხოულობენ დარებსა“... თუმცა ჩვენს ბიჭებს რეზოს და გიას არც სახელი და არც დიდება არ უთხოვიათ არავისთვის, თავიანთი მამულიშვილური ვალის მოსახდელად აიღეს ხელში იარაღი და მშობლიურ სოფლებს გმირებად დაუბრუნდნენ...

8 აგვისტოს, რეზოს და გიას ხსოვნის პატივის მისაგებად მარიამჯვარსა და დიდ ჩაილურს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლები ეწვივნენ, ყვავილებით შეამკეს ზეციურ საქართველოს გმირ მეომართა პანთეონს შეერთებული ბიჭების სამუდამო განსასვენებელი და მათ მშობლებს მცირეოდენი თანხა გადასცეს.

ბიოინჟინერია – მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია

პირველი ნაბიჯები ჩვენთანაც იდგმება

მსოფლიო ეკოლოგიურ რეიტინგში საქართველომ ბოლო წლებში 47-ე ადგილიდან 101 ადგილზე გადაინაცვლა. ეს იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს 170 ქვეყანას შორის ბიოწარმოების განვითარებით ბოლო ადგილზე ვიმყოფებით. ეს კი საბოლოოდ იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ბოლო ორი წლის განმავლობაში გარემოს მდგომარეობა 2,1-ჯერ გაუარესდა. ანალოგიური პრობლემის წინაშე მსოფლიოს ბევრი ქვეყანა 30-40 წელია რაც დადგა. ბევრი მიხვდა, რომ სინთეზური ქიმიით და გენური ინჟინერიით სასურსათო პრობლემა გადაჭრის მაგიერ უფრო მეტ სირთულეებს ქმნიდა. მსოფლიოში საჭირო გახდა ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის განვითარება, რომლის საშუალებითაც არა მარტო ადამიანის ჯანსაღი კვების და ჯანმრთელობის, არამედ გარემოს დაცვის და ბუნებრივი წონასწორობის საკითხიც წარმატებით გადაიჭრებოდა, 3-4-ჯერ შემცირდებოდა სათბურის აირების მოცულობა და მკვეთრად გაუმჯობესდებოდა ცოცხალი გარემოს ყველა სასიცოცხლო პროცესი. სწორედ ამ გათვლებმა საუკეთესო შედეგებიც მოუტანა მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებს. ამიტომაც დღეს მსოფლიოში ბიოაგროწარმოების ბუმია. ბიოწარმოების განვითარებას მოსახლეობის მზარდი დაავადებების გარდა ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ქიმიური მეთოდების კრახმა, ეკოლოგიური კატატროფების სწრაფმა მატებამ, მავნებელთა და დაავადებების რიცხოვნობის და მდგრადობის ზრდამ, მოსავლიანობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუარესებამ, ნიადაგის დეგრადირებისა და ფაუნის გადაშენების პროცესების გაღრმავებამ, მოსახლეობის გათვითცნობიერებამ, გენმოდიფიცირებული პროდუქტების მიმართ მომხმარებელთა ნეგატიურმა დამოკიდებულებამ და სხვა.

დღეისათვის ორგანული სოფლის მეურნეობა მსოფლიოს 170 ქვეყანაში მოიცავს 40 მილიონ ჰექტარ ფართობს. აქედან, საქართველოს ბიოფართობი საერთო სავარგულების 0 პროცენტს შეადგენს, აზერბაიჯანში 23 ათასი ჰექტარი უკავია, სომხეთში 1,7 ათას ჰექტრამდე. რუსეთში, სადაც კანონი ბიოწარმოების შესახებ დღემდე მიღებული არ არის, ბიოპროდუქცია 40 ბიომეურნეობის 80000 ჰექტარზე იწარმოება და 170 მილიონი დოლარის ბიოპროდუქცია იყიდება, საიდანაც 90% იმპორტია.

აღსანიშნავია, რომ უკრაინაში, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ბიოწარმოების შესახებ მხოლოდ 2014 წლის დასაწყისში შევიდა ძალაში, 200 მილიონი გრივნის ღირებულების პროდუქცია მაინც იწარმოება და წარმატებით გადის ექსპორტზე. ერთერთ მეურნეობაში აქ 8000 ჰა-ზე იწარმოება ბიოპროდუქცია და 500 კაცზე მეტია დასაქმებული. აქ ჯერ კიდევ 1978 წელს უარი ეთქვა შხამქიმიკატების გამოყენებას, ხოლო 1996 წლიდან მინერალური სასუქები საერთოდ აიკრძალა. აქ ნიადაგის დამუშავების განსაკუთრებული თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ხვნის მაგივრად გამოიყენება გაფხვიერება – ნიადაგის ზედაპირული დამუშავება ჩვეულებრივი გამაფხვიერებლებით. ნიადაგის განოყიერების სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია პარკოსან სიდერატებს. აქ 1 ჰა-ზე 5 ტონა ქერი, 6 ტონა ხორბალი, 10-12 ტონა სიმინდი მოჰყავთ. აქ ბიომეცხოველეობაც კარგადაა განვითარებული – ჰყავთ 8000 მსხვილფეხა, საიდანაც 2000 მეწველია. მეურნეობაში ყოველდღიურად 25-30 ტონა ბიორძეს იღებენ. ბიოსაწარმო, რომელიც ძირითადად ექსპორტზე მუშაობს, მილიონობით გრივნის შემოსავალს ღებულობს ყოველწლიურად.

საქართველოში კი კანონი ბიოწარმოების შესახებ 7 წელია მიღებულია. უკანასკნელ ხანს მთავრობის დადგენილებაც მივიღეთ, მაგრამ ჯერ-ჯერობით სახელმწიფოს მხრიდან ამ კუთხით ნაბიჯები არ გადადგმულა. თუმცა კერძო სექტორში არის ბევრი რამ საინტერესო. საქართველოში სერთიფიცირებული ბიომეურნეობის ფართობი 112 ჰექტარია, ხოლო კონვერსიაზეა 190 ჰა, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ამ მეურნეობებმაც აიღეს სერტიფიკატი, ბიოსავარგულების რიცხვი 2 წლის შემდეგ 300 ჰა-ს მიაღწევს. მანამდე კი ხშირად შევხვდებით ეტიკეტზე წარწერას „ბიო“-ს, რომ ეს კვების პროდუქტი ეკოლოგიურად სუფთაა. საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება და აგვისტოდან დაჯარიმდებიან ის პირები, რომლებიც ყოველგვარი სერტიფიცირების გარეშე თავის გამოშვებულ პროდუქციას ამ წარწერას გაუკეთებენ. საქართველოში ბიომეურნეობის ჩამოყალიბებისათვის გარკვეული ეტაპების გავლის საჭიროება ჩნდება. უპირველესი ეტაპი კი ბიოწარმოების სფეროში წესრიგის დამყარება, მეორე ეტაპი იქნება მოსამზადებელი პერიოდი – განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბიოაგრარული განათლების გაძლიერებულ სწავლებას.

ბიოწარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები შეიძლება იყოს რამდენიმე სახის: ბიოფერმერული მეურნეობები, ბიოკოოპერატივი, ბიოასოციაციები. შესაძლებელია სხვა ფორმებიც (შპს, ინდივიდუალური მეურნეობა). მაგრამ, როგორც სპეციალისტები თვლიან, ყველაზე აქტუალურია ამ ეტაპზე ბიოკოოპერატივების ჩამოყალიბება, რადგან, როგორც ისინი თვლიან, კოოპერატივებისათვის გამოყოფილი პრივილეგიებით ორმაგი სარგებლობა შეიძლება – ანუ განვითარდება არა მარტო წარმოება, არამედ ბიოწარმოება და სრულიად შესაძლებელი ხდება მთის პატარა დასახლებები ბიოსოფლებად – ბიოკოოპერატივებად ჩამოყალიბდნენ.

თუ ყურადღება არ მიექცა და სათანადო ხელშეწყობა არ იქნება ბიომეურნეობების შესაქმნელად, ის, რაც დღეს საქართველოში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაში ხდება, უფრო მეტი უარყოფითი შედეგები გვექნება. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოში 2013 წელს კუჭ-ნაწლავის და სასუნთქი გზების მხრივ დაფიქსირდა 800000 დაავადებული ადამიანი, სხვადასხვა სიმსივნეების, ალერგიების და მრავალ სხვა დაავადებებთან ერთად მკვეთრად გაიზარდა კვების პროდუქტებით მოწამლულ ადამიანთა რიცხოვნობაც. ჩვენ ვერ ვხედავთ, მაგრამ ჩვენი ჯანმრთელობა გვატყობინებს, თუ როგორ იწამლება პროდუქტი, როგორც პირველადი სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ასევე მისი გადამუშავების და კვების მრეწველობის შიგნით ათასგვარი ქიმიკატების, ემულგატორების და საკვები დანამატების საშუალებით. ჩვენს ბაზარზე შემოტანილი პროდუქციაა, რომელიც ისევ და ისევ ათასგვარი ქიმიური საშუალებებით არის მოყვანილი და შემცირების ნაცვლად, უფრო მეტი ქიმიური ნივთიერება შემოედინება მოსავლიანობის გაზრდისათვის თუმცა, აღარც კი ვფიქრობთ ჩვენს ორგანიზმში რამდენი მავნე ნივთიერება ილექება, რომელიც სიმსივნედ და ათასგვარ უბედურებად იქცევა.

ამიტომაც ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინ მიაქცია ყურადღება მსოფლიოს მთელმა რიგმა ქვეყნებმა ბიოწარმოების განვითარებას – მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და მსოფლიო ბაზარზე ბიოწარმოების სფეროში გარკვეული ადგილის დამკვიდრებისათვის.

მალე სექტემბერი მოვა

მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში

მოსწავლეთა ხარისხიანი სწავლა-აღზრდის საქმეში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი, მისთვის შესაფერისი სასწავლო გარემოს შექმნასაც ენიჭება. ეს პირობები, ძირითადად ზაფხულის არდადეგების პერიოდში ხდება ამ დროს სასკოლო შენობებში შესაბამისი სამუშაოების ჩატარების საშუალება იქმნება. როგორ ემზადებიან ჩვენი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მომავალი 2014-2015 სასწავლო წლის შესახვედრად, ვესაუბრეთ ***საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსს* მანანა ცუცქირიძეს.**

– ქ-ნო მანანა, გავრცელებული ინფორმაციით ახალი სასწავლო წლისათვის მუნიციპალიტეტის რამდენიმე საჯარო სკოლაში იგეგმება სასკოლო შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები. კონკრეტულად, რომელ სკოლებში და რა სახის სამუშაოების შესრულებაა გათვალისწინებული ამ კუთხით?

– ქვეყნის მასშტაბით სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებელი სკოლების ნუსხაში წელს ჩვენი მუნიციპალიტეტიდან ორი – ყანდაურისა და კოჭბანის საჯარო სკოლაა მოხვედრილი. აქედან, ყანდაურის საჯარო სკოლაში მეტალოპლასტმასის ნაკეთობებით შეიცვლება მოძველებული ხის კარ-ფანჯრები. ანალოგიური სამუშაოები განხორციელდება კოჭბანის საჯარო სკოლაშიც. ამას გარდა, ორივე სასწავლო დაწესებულებაში საკუთარი ვაუჩერული დაფინანსების წყაროებიდან ჩატარდება კოსმეტიკური სახის შიდა სარემონტო სამუშაოები. აღნიშნული საჯარო სკოლების გარდა, მსგავსი სახის კოსმეტიკური რემონტები ჩატარდება (5000 ლარის ფარგლებში) მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების უმეტესობაში: შეიღებება სასკოლო დერეფნები, საკლასო ოთახები და სხვა. საკუთარი სახსრებით აწარმოებს სკოლის სამსართულიანი სასწავლო კორპუსის სახურავის განახლების სამუშაოებს იორმუღანლოს საჯარო სკოლის (დირექტორი კ. აბდულაევი) ხელმძღვანელობა. ამ სკოლის შენობის სახურავი გასული საუკუნის 70-იან წლებშია მოწყობილი. იგი გადახურული იყო აზბესტცემენტის ფილებით, რომლებიც ამ წლების განმავლობაში ქარმა, წვიმამ და ზამთრის ყინვებმა საკმაოდ დააზიანა. ახლა კი მას თუნუქის ფურცლებით გადახურავენ და მის მობინადრეებს თოვლისა და ქარწვიმის შიში კარგა ხანს აღარ ექნებათ.

– რა მდგომარეობაშია მისი ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობის საქმე. მოესწრება თუ არა ახალი სასწავლო წლისათვის მისი ექსპლოატაციაში გაშვება?

– სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ამის შესახებ მე რაიმეს თქმა არ შემიძლია. ვნახოთ, რა იქნება მომავალში. ისე კი, დამერწმუნეთ, ყველას სურვილია, რაც შეიძლება მალე ჩადგეს იგი აქაური მოსწავლეების სამსახურში, რადგან სკოლის კონტიგენტი სადღეისოდ საკმაოდ გადატვირთულია და აქ ორ ცვლაში უწევთ მეცადინეობის ჩატარება.

– ლამბალოს საჯარო სკოლის ახალი კორპუსის მშენებლობის შესახებ რას გვეტყოდით, რა სტადიაშია იგი?

– ამ სკოლის სასწავლო კორპუსის მშენებლობა, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იქნება ჩვენს ქვეყანაში, კვლავ გრძელდება. ხელშეკრულების მიხედვით მშენებლებს სამუშაოების ჩასატარებლად კიდევ დარჩენილი აქვთ 9 თვე და უნდა ველოდოთ, რომ გაისად უკვე დაასრულებენ მშენებლობას.

– მიმდინარე სასწავლო წლისათვის სასკოლო ინვენტარის განახლება თუ იგეგმება?

– კი, როგორ არა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჩვენ უკვე გადავუგზავნეთ სათანადო მოთხოვნა ინვენტარის შესახებ თითოეული სკოლის მიხედვით და უახლოეს ხანში ველოდებით ახალი დაფებისა და მერხების შემოტანას.

– ამ ეტაპზე თუ იცით რა ღონისძიებები იგეგმება ამ სასწავლო წლისათვის სასკოლო სახელმძღვანელოების განახლებაზე მათზე მოსწავლეთა მოთხოვნილების სრულყოფილად დაკმაყოფილებისათვის?

– აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მინდა გითხრათ, რომ მოსწავლეებს კვლავ დაურიგდებათ წინა წელს გამოყენებული სახელმძღვანელოებიდან ვარგისად შეფასებული (6 ქულის ზვეთი) წიგნები, ექსპლოატაციიდან გასული წიგნები კი ამოიცვლება ახლით, რომელთა მიღებასაც ამ დღეებში ველოდებით, ისე, რომ მოხერხდეს სასწავლო წლის დაწყებამდე მათი მოსწავლეებისათვის გადაცემა.

– რა სიახლეები ელოდებათ მიმდინარე სასწავლო წლისათვის სკოლაში პირველად მისულ მოსწავლეებს, რომელთა რიცხვი, თუ არ ვცდები 640-ია?

– კი, წელს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პირველკლასელთა მერხებს 640 ბავშვი მიუჯდება. ამასთან დაკავშირებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მათ კარგი საჩუქარი მოუმზადა. წინა წლებისაგან განსხვავებით მათ გადაეცემათ შესამჩნევად მსუბუქი და ხარისხიანი სახელმძღვანელოები, ასევე, ახალი ნეტბუკები. მათთვის სიახლეა ისიც, რომ პირველკლასელთა დამრიგებლებმა გაიარეს სპეციალური კომპიუტერული სწავლების კურსები, რათა უფრო ადვილად შეძლონ თავიანთი აღსაზრდელებისათვის ნეტბუკებზე მუშაობის სწავლება.

– კიდევ რა სიახლეებია მოსალოდნელი ახალი სასწავლო წლისათვის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში?

– ახალი სასწავლო წლის სიახლეებიდან უნდა გამოვყოთ ის, რომ საგარეჯოს IV საჯარო სკოლაში პილოტირებას გაივლის სამედიცინო მომსახურების კაბინეტი, ხოლო იმ სკოლაში, სადაც ჰყავთ უნარშეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები, დაინიშნებიან ინკლუზიური განათლების სპეციალისტები იქ, სადაც ტარდება რემონტები და იქნება ამის საჭიროება, ასეთი მოსწავლეებისათვის მოეწყობა პანდუსები.

– ამ უკანასკნელ ხანში ვრცელდება ინფორმაცია, რომ ახალი სასწავლო წლიდან უნდა გაიზარდოს სასწავლო დღეების რაოდენობა და რის ხარჯზე მოხდება ეს? თქვენ თუ გაქვთ ამის შესახებ რაიმე ინფორმაცია.

– კი, მსგავსი ღონისძიებები ნამდვილად იგეგმება და ეს მოხდება მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების შემცირების ხარჯზე. კერძოდ, თუ წინა სასწავლო წლებში ეს არდადეგები იწყებოდა 24 დეკემბერს და გრძელდებოდა 20 იანვრამდე, ახალი სასწავლო წლიდან შესაბამისად ეს რიცხვები გადმოიწევს 30 დეკემბერს 14 იანვრამდე.

– როდიდან განახლდება ახალი სასწავლო პროცესი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში და თქვენი აზრით, მოესწრება თუ არა მანამდე სასკოლო შენობების წესრიგში მოყვანა?

– ახალი სასწავლო წლის დაწყება, ისე, როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, ჩვენს მუნიციპალიტეტში 15 სექტემბრისათვის იგეგმება, რაც შეეხება სკოლებში რემონტების ჩატარებას და ახალი სასწავლო წლისათვის სრულ წესრიგში დახვედრას, ეს ამ პროცესის განახლებამდე ათი დღით ადრე უნდა დასრულდეს და იმედია, ასეც მოხდება.

ესაუბრა
გივი დაბახიშვილი

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები

ახალი სასწავლო წლისათვის ემზადებიან

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში 15 სექტემბრიდან განახლდება სწავლა-აღზრდის პროცესი. მანამდე კი მათგან უმეტეს ნაწილში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, რომელზედაც აიპ ***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების“*** დირექტორი **ელზა გილაშვილი** გვესაუბრება:

– სექტემბერში მუნიციპალიტეტის 29 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში განახლდება სწავლა. აქედან 26, როგორც მოგეხსენებათ, ძირითადი დაწესებულებაა, რომელსაც გასულ წელს ლამბალოში გახსნილი ორი ალტერნატიული ჯგუფი მიემატა, წელს კი სექტემბრიდან ე.წ. „გაღმაუბანში“ არსებულ ყოფილ საბავშვო ბაღის შენობაში ერთი ჯგუფი მიემატება.

ამჟამად მთელი რიგი სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს ჩვენი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში. კონკრეტულად: **შიბლიანის** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სამზარეულოში ჭარბი ტენის გამო იატაკი ჩაინგრა და ახლა იქ ახლიდან იგება იატაკი; **კაკაბეთში** ორივე საბავშვო ბაღების ეზოები შემოსაკავებელი იყო, ამასთან დაწესებულება №1-ის შენობის აღმოსავლეთი კედელი თითქმის დანგრევის პირას იყო მისული და დღეს იქ კედლის გასამაგრებელი სამუშაოები მიმდინარეობს. ამასთან, იღობება ორივე დაწესებულების ეზო; დაზიანებული კარ-ფანჯარა იცვლება **მანავის** ე.წ. „ბურდიანის“ დასახლებაში არსებულ დაწესებულებაში, სადაც 22 აღსაზრდელი შეუდგება აქ სწავლას; ***საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის №1 დაწესებულებაში*** მოხდება შესასვლელის გადახურვა; **ყანდაურაში** „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით შეიცვალა დაწესებულების შენობის კარ-ფანჯარა, ასევე, კარ-ფანჯარა იცვლება მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრით **პატარძეულის №2** *სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში;* საინტერესოა ისიც, რომ **ნინოწმინდაში** შექმნილმა საინიციატივო ჯგუფის (ხელმძღვანელი ელენე სამხთუაშვილი) თაოსნობით აქ მოხდება დაწესებულების ეზოს კეთილმოწყობა. აქ შესანიშნავი ეზოა, რომელსაც მართლაც დაამშვენებს კეთილმოწყობა. ამ დაწესებულებაში სულ ახლახანს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით კვების ბლოკი მოწესრიგდა, და რაც ყველაზე სასიხარულოა, **უდაბნოში** დაიწყო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ახალი შენობის მშენებლობა, რომლის ღირებულება 300 000 ლარია. აქ ბაგა-ბაღის 2 ჯგუფი იქნება, ბაგის ასაკის ჯგუფს თავისი საძინებელი ექნება. ამავე შენობაში განთავსდება მედიცინის დის ოთახიც.

სამომავლოდ გაირკვევა **მანავის** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობის შეკეთების (ავარიული მდგომარეობის გამო იქ შეწყვეტილია მეცადინეობები), **რკინიგზის დასახლების** (ასწლოვანი ისტორიის მქონე ძველ შენობაში მალე შეუძლებელი გახდება სასწავლო-საადმზრდელო პროცესის ჩატარება) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ახალ შენობაში გადასვლის საკითხი, ასევე გაირკვევა საკითხი, რომელსაც დუზაგრამელები აყენებენ – მეჩეთის მშენებარე შენობა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებად გადაკეთდეს.

„რა მალე დავბერებულვარ, ნეტარ, სადა და როდისა?!“

პედაგოგობაში თმაჩამოთოვლილი

ქალბატონ სოფიო ბაღიაურს არაერთი თაობა მიუღია სკოლაში, დაწყებითი განათლების საფეხურის პედაგოგი თავისი თავმდაბლობით, მოკრძალებული ცხოვრებით, ჭეშმარიტად პროფესიონალი, თავისი მოწაფეების თუ ნამოწაფრების გულის მესაიდუმლე დიდი სიყვარულით სარგებლობდა და ახლაც, 92 წლის ასაკში უდიდესი პატივისცემით მოიხსენიება საგარეჯოს საზოგადოებასა თუ მშობლიურ პედაგოგიურ კოლექტივებში.

დღეს ქალბატონი სოფიო ჩვენი გაზეთის მკითხველთა სტუმარია. მოკრძალებულად მოგვითხრობს მის მიერ განვლილ ცხოვრებას.

– ქალბატონო სოფიო, იქნებ კიდევ ერთხელ გაგვახსენოთ თქვენს მიერ განვლილი ცხოვრება, რომელსაც ჩვენც, საგარეჯოელები ათეული წლებია თვალყურს ვადევნებთ?

– დავიბადე 1922 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ რუსიანში. დავამთავრე გომბორის შვიდწლიანი სკოლა და სწავლა გავაგრძელე საგარეჯოს რაიონის პედაგოგიურ სასწავლებელში, რომელიც დავამთავრე 1941 წელს და იმავე წელს დამნიშნეს გომბორის კოლმეურნეობის თავჯდომარედ. მოგეხსენებათ, სამამულო ომი მძვინვარებდა, სოფლის მამაკაცები გაწვეული იყვნენ სამამულო ომში. მონაწილეობას ვიღებდი რაიონის აქტიურ ცხოვრებაში. ომის დამთავრების შემდეგ დავიწყე პედაგოგიური მოღვაწეობა იმ დროს არსებულ საშუალო სკოლაში. პარალელურად ვსწავლობდი ქ. თბილისის პუშკინის სახელობის ინსტიტუტში დაწყებითი განათლებისა და მეთოდიკის ფაკულტეტზე.

– როგორ გაიხსენებთ თქვენს მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს?

– უზომოდ მიყვარდა პატარა ბავშვები და მათთან ურთიერთობა. ვცდილობდი ჩემი ჩატარებული გაკვეთილები ყოფილიყო ხარისხიანი და ნაყოფიერი. გვესწრებოდნენ სახვენებელ გაკვეთილებზე, როგორც განათლების სამინისტროდან, ასევე დახელოვნების ინსტიტუტიდან. ვცდილობდი ჩემი ახსნილი გაკვეთილი ყოფილიყო მისაღები როგორც ჩემი მოსწავლეებისათვის, ასევე დამწყებ პედაგოგებისთვისაც. ათეული წლების განმავლობაში ვმუშაობდი საგარეჯოს №1 და №4საშუალო სკოლებში მასწავლებლად.

– რას იტყვით, ადვილი იყო და თქვენი აზრით ახლაც ადვილია იყო კარგი მასწავლებელი, კარგი დედა, კარგი მეუღლე, კარგი დიასახლისი და საერთოდ, კარგი ქალი?

– იყო კარგი ოჯახში, სამსახურში თუ ახლობლობაში არ იყო ჩემთვის და ალბათ ახლაც არ იქნება იოლი. ბევრ რამეზე უნდა თქვა უარი, მოთოკო შენი მოთხოვნილებები, თუნდაც ელემენტარული სურვილები და იფიქრო იმ მოვალეობებზე, პასუხისმგებლობაზე, რაც გაკისრია შენ, როგორც ქალს ზოგადად. საზოგადოებისა თუ ოჯახის მოთხოვნები განსხვავებულია სხვადასხვა დროში, მაგრამ პირებისათვის მარადიულია ღირებულებები, რომლებიც არასოდეს იცვლება. თუ ქალი შეძლებს შეინარჩუნოს და დაიცვას ეს ღირებულებები, როგორც საკუთარ პიროვნებაში, ისე მის გარშემო ადამიანთა წრეში და არ უდალატებს პრინციპებს, აუცილებლად შეფასდება, როგორც კარგი მასწავლებელი, კარგი დედა, კარგი მეუღლე.

– ახლა რომ ახალგაზრდა, დამწყები პედაგოგი იყოთ, რას ფიქრობთ, მიაღწევდით წარმატებებს?

– ვფიქრობ, ახლა რომ ვიყო ახალგაზრდა პედაგოგი უფრო სხვანაირ წარმატებებს მივაღწევდი ჩემს მოღვაწეობაში იმიტომ, რომ დღეს უფრო მეტი ინფორმაციული წყაროა. დაწყებით კლასებში ბავშვებმა უკვე იციან კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება, სწავლობენ უცხო ენებს.

– რა განცდა გაქვთ ხოლმე მოახლოებული სექტემბრის?

– პირველი სექტემბერი – ახლა უკვე 15 სექტემბერი ჩემს გულში დარჩა, როგორც დღესასწაული. გულით ვლოცავ ყველას, დიდსა თუ პატარას, მათ შორის ჩემს შვილთაშვილებს.

– ახლა რომ პროფესიას ახლიდან ირჩევდეთ, აირჩევდით ისევ პედაგოგობას?

– მე ბოლომდე დავიხარჯე ჩემს პროფესიაში, ბოლომდე შევიყვარე და ვუერთგულე მას. 92 წლის ქალი ვარ და ამ გადმოსახედიდან შემიძლია ვთქვა, რომ პროფესიის არჩევაში არ შევმცდარვარ. ეს იყო ის, რაც მე მინდოდა, მიყვარდა, მჭირდებოდა. დღეს რომ სკოლას ვამთავრებდე, აუცილებლად ავირჩევ ისევ პედაგოგობას, ეს არის არა მარტო საჭირო, არამედ მადლიანი პროფესია.

– თუ შეიძლება გაიხსენეთ თქვენი ნამოწაფრები...

– ჩემი საყვარელი მოსწავლეები იყვნენ თამრიკო გოდერძიშვილი, ილია ესაიაშვილი, გია ბედიაშვილი, ვასილ ნაკულაშვილი, გიორგი ხატიაშვილი, ვაჟა ყორდანაშვილი და სხვა მრავალნი.

– რას უსურვებდით პედაგოგებს და მოსწავლეებს?

– მშვიდობიან ცხოვრებას, სასწავლო პროცესების დახვეწას და საქართველოსთვის წარმატებულ სწავლა-განათლებას.

ქართველებად ამ ლექსებით ვიზრდებით

პოეზია

ვაჟა ფშაველა

ჩემი ვედრება

ღმერთო, მიიღე ვედრება,
ეს ჩემი სათხოვარია:
არ დამეკარგოს გულიდან
მე შენი სახსოვარია!
გულს ნუ გამიტეხ ტანჯვაში,
მამყოფე შეუდრეკლადა;
ვფხიზლობდე, მუდამ მზად ვიყო
დაჩაგრულების მცველადა.
ბალახი ვიყო სათიბი,
არა მწადიან ცელობა;
ცხვრადვე მამყოფე ისევა,
ოღონდ ამშორდეს მგელობა;
არ წამიხდინო, მეუფევ,
ეს ჩემი წმინდა ხელობა!
მაშრომე საკეთილოდა,
თუნდ არ მოვიმკო ნაყოფი,
შვილთ საგმოდ არ გამიხადო
ჩემი მუდმივი სამყოფი.
გულს ნუ გამიქრობ ლამპარსა,
მნათობს ტრფობითა შიშითა,
ნუ მაგლეე ქვეყანაზედა
გაცივებულის ლეშითა, –
თვალებში მადლ-დაკარგულსა,
შუბლზე გაკრულის მეშითა.
ნუ დაუკარგავ ჩემს სატრფოს
მადლს, გულზე ცეცხლის მდებელსა,
ნუ დაუძვირებ ოცნებას,
შენს ხმას, სხივ-გამომდებელსა;
სიცოცხლედ უღირს ბეჩავსა,
ეძახის თავის მხლებელსა.
გულს დარდი გამიდიადე
იმ სანეტარო საგანზე,
დაწერე ფიქრი, ღრმა, მწვავე
ჩემის გონების საბანზე!..
გონებას ფიქრი სტანჯავდეს, ,
გულს ცეცხლი სწვავდეს ძლიერი,
მშიერ-მწყუროდეს კეთილი,
ვერ გავძღე, მოკვდე მშიერი...
ნუ დამასვენებ ნურა დროს,
მამყოფე შეძრწუნებული;
როცა გულს ცეცხლი მედება,
გონება მსჯელობს საღადა, –
მაშინ ვარ თავისუფალი,
თავს მაშინა ვგრძნობ ლაღადა.
მფარავდეს შენი მარჯვენა,
კალთა სამოსლის შენისა,
სანამ არ მოვა დრო-ჟამი
სულ ბოლოს ამოქშენისა.
სული – შენ, ლეში – მიწასა, –
აღარა ვგლოვობ ამასა;
თევზი – წყალს, ცასა – ვარსკვლავი,
შვილი – დედას და მამასა.

ვაჟა ოთარაშვილი

სულ-ქართული

ტირისკონი,
ტირისდენი,
ტირის რკონი...
ტირის გრემი...
მტერი არ ჩანს –
მარტო ჟამმა,
გაუმწარათ ყოფის დღენი?
აღარც აბჯრით ცხენოსანნი,
აღარც სანთლით მლოცველები...
ვდგევარ მარტო მე მგოსანი –
ამ ვარამით მოცელილი...
ვეევედრები დედაღვთისას,
ქედდადრეკით შემართული...
ერთხელ კიდევ აკისკისა,
ჩემი გული სულ ქართული...

ნაწყვეტი პოემიდან

„სისხლის ძიება“

თავის წესს არ ჰშლის ბუნება,
ღამე დღეს, დღე სცვლის ღამეთა,
მუხლმოკეცილნი სხდებიან
შავი ნისლები მთა-ველთა;
მრავალთა წყალთა იდინეს,
ჩამოუარეს ვაკეთა;
მრავალმა გამოთხოვების
აკოცა ლამაზ ბაგეთა.
ზოგი გაჩნდა და სხვა მოკვდა,
საფლავს მწოლარე ვნახეთა.
მტრობა, ტრფობა და სიძულე
ერთურთს უგმობენ სახეთა,
ის ჰრჩება მხოლოდ ქვეყანას,
რაც რომ ჩვენგანმა აკეთა.
ბევრჯელ გაიშრო მთამ ქედი
ბევრჯელ მოირთო თოვლითა,
ბევრჯელაც ვნახე ცვრიანი,
ვით შუბლს მუშაკი ოფლითა.
წყალი არ მოჰშლის წყლობასა,
რაც უნდა ბევრი ჰნაყოთა!..
ასლანის გული სავსეა
ისევ ქიჩირის ჯავრითა.
ვერცა რას ფარ-ხმალით გახდა,
ვეღარც რას თავის მსჯავრითა.
ბოლოს სიფლიდეს მიჰმართა,
ეს-და იხმარა ღონედა.
გაფხავებული მახვილი
მოსაქნევია ღონედა.
ენაზე მჭრელი არა არს, –
ძველებსაც უთქვამ სწორადა.
ვაჰ, კაცნო, ბევრჯერ ბრმანი ხართ,
ხშირად უღირსთა ჰმონებთა!
ხშირად ქვას უენ-პიროსა
ქვეყნის შემქმნელად ჰგონებთა!

„აი, ვინაა კაი ყმა“

ქვეყნის, მამულის, სარწმუნოების სამსახურში

ჩვენთვის, კახელებისათვის თითქოს უცნაურია პროფესია – მფრინავი და გემის კაპიტანი, მაგრამ, რომ იტყვიან, „გატყდა ნავსი“ და გვყავს პატარძეულელი – შორეული ნაოსნობის კაპიტანი გიორგი უნაფქოშვილი, მფრინავები საგარეჯოელი ეკა ქვლივიძე და გიორგიწმინდელი სოლომონ გორელაშვილი. სოლომონი ერთი ჩვეულებრივი ბიჭი იყო, მხოლოდ თმაში, მარცხენა მხარეს პატარა გაჭაღარავებული ადგილით. მოხუცების თქმით, ეს დიდი სიბრძნის, სიდინჯის ნიშანიაო, მაგრამ სოლომონს მფრინავმა „კოლეგებმა“ „ფიცხელა“ შეარქვეს, თუმცა, ერთი შეხედვით მშვიდი, გაწონასწორებული ახალგაზრდაა. სიფიცხე კი მართლაც რომ აქვს – სამშობლოს სიყვარულში, ყველაფერი ქართულისადმი მოფრთხილება-გადარჩენისათვის, მეგობრის, თანამებრძოლის ერთგულებაში. არადა, ეკლესიაში ჩვეულებრივად დგას, გარეგნულად ჩვეულებრივად იწერს პირჯვარს, აბარებს აღსარებას და იღებს ზიარებას და გვერდით მდგომებმა არც კი იციან, რომ სოლომონი, გიორგიწმინდაში დაბადებული და გაზრდილი იმ საჰაერო ხომალდს მართავს, რომელიც საქართველოს ცაშიც და მიწაზეც 9 ტონას იწონის, რომ სოლომონ გორელაშვილმა სკოლის დამთავრების შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საავიაციო საქმის შესასწავლად ჩააბარა და მისი დამთავრების შემდეგ სამხედრო აკადემიაც დააამთავრა...

24 წლისამ, 2008 წლის ივნისში თავისი რჩეული ნათია ცოლად მოიყვანა. აგვისტოს 9-ში ქორწილი დაგეგმეს. სამხედრო ნაწილიდან რამდენიმე დღიანი შვებულებაც მისცეს. სტუმრები დაპატიჟებულნი იყვნენ. 8-ში დილით ბაზარში შინაურები წავიდნენ, თავადაც რაღაც საქმეზე სახლიდან გამოვიდა. მობილურზე შეტყობინება მიიღო – ომი დაიწყო, შენ ხვალ დილით 5 საათამდე გეძლევა შვებულება, შემდეგ კი ნაწილში უნდა გამოცხადდეო. დედას დაურეკა, ქორწილი გადაიდოო. რამდენიმე წუთში აცნობეს – ალექსეევკა, სადაც მათი სამხედრო თვითმფრინავები და შტაბი იყო განლაგებული მტერმა გაანადგურაო – ვიღაც ბოროტად გაეხუმრა სოლომონს. თუმცა, ის უკვე თავისი ნაწილისკენ მანქანით „მიფრინავდა“.

– იმ დღის შემდეგ, მთელი ერთი კვირა არაფერი ვიცოდით, სად იყო, როგორ იყო, სად გვეძებნა, სად მოგვეკითხა, არ ვიცოდით, – მეუბნება სოლომონის დედა – ლია გორელაშვილი, – მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ გავიგეთ, რომ მისი ნაწილის პილოტები უკვე დაბრუნებულიყვნენ, თავად არც ჩანდა და ვერც ხმას ვაწვდენდით.

დაბრუნდა. შეცვლილი, დაფიქრებული, რაღაცნაირად გაჩუმებული და გაყუჩებული. რაღაც სტკიოდა სოლომონს შიგნიდან. ვერაფერს ეკითხებოდნენ, თუნდაც ეკითხათ, იცოდნენ არ უპასუხებდათ – ეს სამხედრო საიდუმლოება იყო. შემდეგ მიხვდნენ მშობლები, მეუღლე და ნათესავები, რატომ არ „უხსნიდა“ სოლომონს „დანა პირს“ – ნახეს საშინელი, ამაზრზენი კადრები ცხინვალში, მის სოფლებში...

ხანდახან მის მეგობრებს, თანამებრძოლებს წამოსცდებათ „ფიცხელას“ საბრძოლო ფრენები, ის დავალებები, რასაც ის იმ „სულ ორიოდე“, მაგრამ საშინელ დღეებში ასრულებდა...

სოლომონმა და ნათიამ ქორწილი გადაიხადეს... ცხოვრება ჩვეულ რიტმში ჩადგა. ელოდნენ შვილს, მაგრამ იგვიანებდა. მამა გიორგი ამშვიდებდათ. ჯერ კიდევ დაქორწინებამდე სიზმარი ვნახე – სოლომონმა პატარა ბიჭი შემოიყვანა ეკლესიაშიო. შემდეგ ნათიამ სიზმრად ნახა – ბერი გაბრიელი (ურგებაძე), ბიჭი გეყოლებათ და გაბრიელი დაარქვითო. ამ სიზმრის შემდეგ სოლომონმა ბერი გაბრიელის სახელობის ეკლესიის მშენებლობა დაიწყო. მისი საძირკველი მღვდელმა გიორგი პავლოვმა აკურთხა. სადღეისოდ კედლები 1 მეტრის სიმაღლეზეა ამოზრდილი. 2014 წლის 29 მარტს კი ნათიას და სოლომონს ბიჭი – გაბრიელი შეეძინათ...

გაიზრდება გაბრიელი. ოჯახის წევრები, დღეს მშენებარე ეკლესიის მომავალი მრევლი მოუყვებიან, როგორ უყვარს დღეს მამას საქართველო, როგორ განიცდის ავღანეთში წასვლაზე უარის თქმას, იქ, სადაც მისი მეგობრები მიდიან, მას კი სწორედ იმ მეგობრების, თანამებრძოლების შეცვლა უნდა...

თავად არასოდეს არაფერი უთქვამს ჩვენთვის სოლომონს, არც ახლა, ამ საგაზეთო სტატიის მომზადებისას – ზოგი დედამისს შევეკითხე და მახსენდება ის საშინელი დღეებიც. – 2008 წლის აგვისტო, სოლომონის დედა ცრემლგამშრალი, უცნაურად გადაფითრებული ეკლესიაში ხატების წინ სანთლებით ხელში...

სოლომონი კი დღეს ეკლესიის მშენებლობისათვის თანხის გამომუშავებაზე, გაბრიელის ნამდვილ ვაჟკაცად გაზრდაზე ფიქრობს და ფიქრს მალე ხორცსაც შეასხამს...

ღმერთმა ხელი მოუმართოს!

2008 წლის აგვისტო

„ტყე შეუნახე შვილებსა“...

აკად. ნიკო კეცხოველი:

„ტყე ჯავარია და სიმშვენიერე ჩვენი ქვეყნისა...“

დღევანდელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს სუბალპურ ზონაში. ჩვენი მუნიციპალიტეტის საზღვრების პარამეტრებია 11300კმ, განფენილია 155369 ჰა-ზე – 1515 კმ²-ზე, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა 93804ჰა. მუნიციპალიტეტს (რაიონს) ჩრდილოეთიდან ესაზღვრება თიანეთის, ახმეტისა და თელავის მუნიციპალიტეტები, აღმოსავლეთით – გურჯაანის, თელავისა და სიღნაღის, დასავლეთით– გარდაბნის, მცხეთის მუნიციპალიტეტები, ხოლო სამხრეთით – აზერბაიჯანის რესპუბლიკის აღსტაფისა და ყაზახის რაიონები.

საქართველო მდიდარია ტყეებით. აკადემიკოს ნიკო კეცხოველის მონაცემებით ჩვენი ტერიტორიის 1/3 ტყეებს უჭირავს. ტყე ქვეყნის ოქროს ფონდს წარმოადგენს, განსაკუთრებით ისეთი მთაგორიანი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა.

ტყე იცავს მხარის წყლის რეჟიმს, ნიადაგს ტენიანობას უნარჩუნებს, წყაროებს ამოშრობისაგან იფარავს, აკავებს და ანელებს ღვარცოფების ნგრევის მოქმედებას, რომლებიც ფერდობებიდან ჩამოაქვს და რეცხავს საუკუნეებით შექმნილ ნიადაგს (დედამიწის ზედაფენას, რომელსაც ნაყოფიერების უნარი გააჩნია). ტყე ძვირფასი საკვები სავარგულია: წიფლის, მუხის და სხვადასხვა ხილეულის ნაყოფი ცხოველთა საუკეთესო კონცენტრირებული საკვებია. ტყის ველობები ძვირფას სათიბებს წარმოადგენენ, სადაც მაღალი ხარისხის თივის დამზადება შეიძლება. ტყე ჯანმრთელობის კერაა. ტყეში უხვად გამოყოფილი ოზონი O_3 (ჟანგბადის O_2-ის იზოტოპი), ფიტოციდები და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები ადამიანის განწყობაზე და ჯანმრთელობაზე უდიდეს კეთილ გავლენას ახდენს. ტყე არა მარტო სიმდიდრეა, არამედ საუნჯეც, რომელიც ინახავს ერის მრავალნაირ სასიცოცხლო საწყისებს. „ტყე ჯავარია და სიმშვენიერე ჩვენი ქვეყნისა“ – ამბობს აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი. აქედან გამომდინარე, ტყე უნდა დავიცვათ, ხელი შევუწყოთ წარსულში მომხვდური ველური ურდოებისა და დღევანდელი „ავხელა“ ადამიანების მიერ განადგურებული ტყეების აღდგენას.

ადამიანი ცოცხალი ბიოლოგიური არსებაა. მას აუცილებლად სჭირდება სასიცოცხლო პროცესების ნორმალურად, თანმიმდევრულად განხორციელება: კვება, წყლის მიღება და ერთ-ერთი უმთავრესი – სუნთქვა. ატმოსფერულ ჰაერში 21%-მდე ჟანგბადია, რის გარეშეც ადამიანის სიცოცხლე ვერ იარსებებდა. ჟანგბადის რაოდენობა ატმოსფეროში ულევი არ არის. ცოცხალ არსებათა სუნთქვის დროს გამოყოფილი ნახშირორჟანგის CO_2-ის კონცენტრაცია იზრდება. ამიტომ საჭიროა ჟანგბადის რაოდენობის ფარგლებში აღდგენა. ამ პროცესს კი ახორციელებს ფოტოსინთეზის უნარის მქონე მცენარეები (უპირველესად ტყეები).

სამწუხაროდ, დღეს საქართველოს, მათ შორის საგარეჯოს რაიონის ტყეები მძიმედ არის დაზიანებული ადამიანის მიერ ხე-ტყის უკანონო და უკონტროლო ჭრის გამო. ადამიანს ხშირად აქვს ველურობის გამომჟღავნების უარყოფითი უნარი, მას შეუძლია მტრულად მოექცეს დედა-ბუნებას, მათ შორის ტყეებს. გაუფრთხილებლობამ გააჩანაგა ქვეყნის ტყეები, წინამორბედი რეჟიმების დროს არ ექცეოდა სათანადო ყურადღება ტყეებისა და ზოგადად მცენარეული სამყაროს დაცვას და შედეგიც სახეზეა – ტყის მასივები ცარიელი მიწის ფართობებმა შეცვალა, უამრავმა ადამიანმა გაწმინდა და დღეს მიწათმოქმედების განვითარების ადგილად აქცია – ითესება კარტოფილი და სხვადასხვა ბოსტნეული, ერთწლიანი ბალახები. ტყის უმოწყალო გაჩეხვამ შეცვალა იქ არსებული ფლორა და ფაუნა – გადაშენდა, გადაჯიშდა ბუჩქნარი მცენარეები, გაწყდა ცხოველი და ფრინველი. დღეს უკვირთ, ტყის სხვადასხვა სახეობის ჩიტები სოფელში ხეზე ხილს და ბოსტანში ბოსტნეულს არ აჩერებენო, მელია და სხვა მტაცებელი ცხოველი სოფლების ქუჩებსა და უბნებში დღისითაც რომ ჩნდება. დაშრა წყაროები, იკლო მდინარეებმა და საერთოდაც გაქრა.

ტყეებთან დაკავშირებული პრობლემები ვფიქრობთ, ყველა დროში არსებობდა, ჩვენ ხელთ გვაქვს ს.ზ. ქურდიანის მიერ გამოშვებული ნაშრომი, რომელშიც მთლიანად მიმოხილულია საგარეჯოს რაიონის ტყეების მდგომარეობა გასული საუკუნის პირველ ათეულში.

პროფესორი სოლომონ ქურდიანი, ღვაწლმოსილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე იყო. მან პირველმა ევროპაში დაიწყო მუშაობა მერქნიანი ჯიშების სელექციასა და ჰიბრიდიზაციაზე, მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა ტყის მოვლა-დაცვა, საფუძველი ჩაუყარა საქართველოში საბუნებისმეტყველო უმაღლეს განათლებას, შექმნა ფუნდამენტალური შრომები, რომლებმაც საყოველთაო აღიარება მოუტანეს.

ინტერესმოკლებული არ იქნება თუ გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდება ზოგიერთი ცნობა ბიოგრაფიიდან

დაიბადა ს. საგარეჯოში 1867 წლის 6 მარტს, მღვდლის ოჯახში. უმაღლესი განათლება მიიღო პოლონეთში, სადაც 20 წლის განმავლობაში ეწეოდა მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას, ეხმარებოდა ქართველ ახალგაზრდებს საზღვარგარეთ განათლების მიღებაში.

1918 წ. ივ. ჯავახიშვილის მოწვევით მეცნიერი დაბრუნდა საქართველოში და აქტიურად ჩაება უნივერსიტეტის დაფუძნებაში. 1930 წ. მისი უშუალო მონაწილეობით დაარსდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ხოლო 1933 წ. სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტი.

სპეციალისტების ნაკლებობის გამო ს. ქურდიანს უხდებოდა თითქმის ყველა საბუნებისმეტყველო საგნის წაკითხვა. მან ქართულ ენაზე შექმნა სახელმძღვანელოები, შეადგინა სატყეო ენციკლოპედია, ფლობდა უცხო ენებს და თარგმნიდა სპეციალურ ლიტერატურას.

ს. ქურდიანი საგარეჯოსაც არ ივიწყებდა. მისი თაოსნობით გაშენდა წყაროების „სათავის“ ზევით წიწვიანი ხეების სანერგე. ეს აუცილებელი იყო წყაროების დაცვისა და შენარჩუნებისთვის. აღსანიშნავია, რომ წყაროები აღმოაჩინა სოლომონის ძმამ, ცნობილმა ინჟინერმა გიგო ქურდიანმა, რომელმაც წყალი სოფელს უსასყიდლოდ გამოუყვანა. ბევრმა იცის, სად არის „გიგოს წყარო“ საგარეჯოში.

ს. ქურდიანს ფეხით ჰქონდა შემოვლილი საქართველოს ტყეები და ზედმიწევნით იცნობდა მათ. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა საქართველოს ტყეების სრულფასოვანი აღწერა-მოწყობა. მისი თაოსნობით ბიჭვინთის ტევრის, ბორჯომის, ლაგოდეხის, ყორულის, ნაღვარევის, ელდარის, ბაწარასა და მარიამჯვრის ტყეები ნაკრძალებად გამოცხადდა. მოგვიანებით მარიამჯვრის ნაკრძალს ქურდიანის სახელი ეწოდა.

ს. ქურდიანი ებრძოდა ტყის უგეგმოდ ჩეხას. ეს ბრძოლა განსაკუთრებით გამძაფრდა, როდესაც 1931 წელს საკავშირო დადგენილებით საქართველოსა და რუსეთის ტყეები ერთ საექსპლოატაციო ზონად გამოცხადდა. ტაიგის მსგავსად მთიანი რაიონების ტყეების ჭრა, მეცნიერის აზრით გამოიწვევდა მეწყერებს, ღვარცოფებსა და ეროზიას. ბოლო დროს მომხდარმა ეკოკატასტროფებმა დაადასტურეს ამ აზრის სისწორე.

საჯარო კრიტიკული გამოსვლები სიცოცხლის ფასად დაუჯდა მეცნიერს. 1937 წელს ქურდიანი ხალხის „მტრად გამოაცხადეს“, მეუღლესთან ერთად დააპატიმრეს, მისი შრომები კი გაანადგურეს.

1957 წელს სუკის მასალებიდან გაირკვა, რომ ქურდიანს ვერ მოაწერინეს ხელი ცრუ ბრალდებებზე მისი კოლეგების მიმართ. 70 წლის მეცნიერი სასტიკად აწამეს და დაკითხვისას დაპატიმრებიდან მე-3 დღეს დახვრიტეს. მისი საფლავი დღესაც უცნობია.

1986 წელს პოლონეთში იპოვეს ქურდიანის მიერ 70 წლის წინ დაყენებული ექსპერიმენტის მასალები, რომლის შედეგები დღესაც აქტუალური აღმოჩნდა. საზღვარგარეთ გამოქვეყნებულ სტატიებში ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ მეცნიერმა ნოვატორული მეთოდების გამოყენებით დროს გაუსწრო და სელექციის პიონერის სახელი დაიმკვიდრა.

სოლომონ ქურდიანის დაბადებიდან 147 წელი გავიდა.

გთავაზობთ ამონარიდს წიგნიდან С. З. Курдиани. „Из лесов циво-гомборского гребта и речных долины Иора и Алазани'.Отсчет по летней командировке. С. Петербург. 1913г.), რომელშიც აღწერს საქართველოს ტყეებს და მათ შორის საგარეჯოს ტერიტორიაზე არსებულ ტყეებშიც.

თბილი ჰავა და ნალექების სიუხვე ხელს უწყობს ტყის საოცრად მშვენიერ განვითარებას და ხეების ენერგიულ ზრდას. ამ მხარეს ტყე ფართოვდება მინდვრების, მდელოების, ვენახებისაკენ. ადამიანი მუდმივად ებრძვის ტყეს. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ტყეები ჩნდებიან თუ ნალექების რაოდენობა 500მმ აღემატება. ნალექების

ასეთი რაოდენობის დროს ნიადაგი თავისუფლდება ადვილადხსნადი მარილებისაგან და იჟონება საკმარის სიღრმეზე.

საგარეჯოს ქვაბული განლაგებულია 1600-1800 ვერსზე ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 30 ვერსზე, სიგრძე დაახლოებით 14 ვერსია. დასავლეთიდან ეს ქვაფენილი გამოიყოფა პატარძეულის ქედით, ჩრდილოეთიდან ცივ-გომბორის ქედით და აღმოსავლეთით – კაკაბეთის განშტოება სამხრეთით კი ეკვრის უტყეო და უწყლო გარეჯის სტეპები და მაღლობები. გაზაფხულობით სტეპები იფარება მშვენიერი ბალახით, რომელიც მხოლოდ ერთხელ ითიბება.

ცივ-გომბორის ქედზე ქვიან ხეებში ცხელი ზაფხულის დღეებშიც კი 50 სმ-ის სიღრმეზე შეიძლება ნახოთ საკმაოდ სველი ქვები, მათი ახსნა გრუნტის წყლებით არ შეიძლება, რადგან გრუნტის წყალი არ ამოდის ასე მაღლა. ეს საკონდენსაციო ნესტია, რომელიც ხელს უწყობს ტყის გაშენებას. ხევის კალაპოტის ამაღლებული ნაპირები 3-4 წელიწადში იფარება მცენარეულობით. თავდაპირველად თესლები ვითარდება ისეთ ადგილებში, სადაც მსხვილი კონგლომერატები არეულია „ხრეშით“ და ქვიშით. ტყის მცენარეულობის პიონერები, ადგილის სიმაღლის მიხედვით არიან შემდეგი ჯიშები: ზემო ზონებში (4000-6000) წიფელი, ველური ქლიავი, ასკილი, ანწლი, ვერხვი, არყის ხე და სხვა. 4000 ქვევით ჩნდება ტირიფი, რცხილა, ჯაგრცხილა, კატაბარდა, ეკალჭი, მაყვალი, მუხა, ვერხვი, თეთრი ვერხვი, მუშმალა, კვრინჩხი და ა.შ. თვითგატყიანება აღინიშნება „მოქმედ“ (წყლიან) ხევებშიც, მაგრამ აქ ადიდებული წყალი არ ფარავს შლამით ახალშენს, ან მიაქვს ქვევით კონგლომერატებთან ერთად. დიდი წყლის დროს შეიძლება მოხდეს ნაპირების ჩაწოლა ხევში, და ჩნდება პატარა კუნძული ხეებით დაფარული, და ნიადვრის ძალის მიხედვით შეიძლება ასეთი „კუნძულები“ ჩატანილი იყოს საკმაოდ დიდ მანძილზე. ასეთი გზით გადაადგილებული ტყის მცენარეულობა აგრძელებს ნორმალურ განვითარებას და ამ კუნძულიდან მიდის ბუნებრივი გატყიანება ჩვეულებრივ კონცენტრირებული წრეების სახით, თუ ამას ხელს არ შეუშლის ახალი ნიადვარი.

ცივ-გომბორის უდელტეხილის რაიონში, სადაც წყალი არის მინიმუმი და კლიმატი განსხვავდება საკმაო სიმშრალით, მიმდინარეობს მუდმივი ბრძოლა ტყეს და სტეპს შორის.

წყლის ყოველი წვეთი წყვეტს საკითხს – იყოს ტყე, თუ იყოს სტეპი ან უდაბნო. ამის გარდა, არ ვსაუბრობთ სარწყავ წყალზე, რაც ცივ-გომბორის ფერდობებზე განლაგებული სოფლებისათვის არის მწვავე და მნიშვნელოვანი.

იმ პერიოდში ხაზინა ფლობდა მხოლოდ 40% მთელი ტყის მოცულობისას, დანარჩენი ტყეები იყო კერძო. ძირითადი მფლობელები იყვნენ: ჩოლოყაშვილები, კარალოვი, ჭავჭავაძე, ვაჩნაძე, ჩერქეზოვი, ჯანდიერი და სხვა“.

კერძო ტყეები არ იყო მიხედული, თითქმის არ დარაჯობდნენ. ტყის ჭრა მიმდინარეობდა უსისტემოდ...

„ნადგურდება ძვირფასი ჯიშები, ძირითადად მუხა, არა როგორც მასალისათვის, არამედ იქვე სტოვებენ, აცლიან მხოლოდ ქერქს, აცლიან ქერქს და მიაქვთ თბილისში ტყავების გამოსაყვანად.

კერძო ტყეების კონტროლი ძნელია და ამიტომ ნელ-ნელა ხდება საუკეთესო ხეების ყოველ წელს განადგურება და თანდათანობით ჩანაცვლება მოხდება უფრო ზომით პატარა ჯიშებით, სანამ არ დარჩება

დასასრული მე-6 გვერდზე

„ტყე შეუნახე შვილებსა“...

აკად. ნიკო კეცხოველი:

„ტყე ჯავარია და სიმშვენიერე ჩვენი ქვეყნისა...“

„ეროვნული სატყეო სააგენტოს“ საგარეჯოს სატყეოს უფროსი: – დღეისათვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 38800 ჰა ტყეს უკავია, 3000 ჰა – საკოლმეურნეო ტყეებს, რომელთა მეთვალყურეობისათვის 11 სამცველო უბანია შექმნილი და 12 ტყისმცველი ემსახურება. დღეისათვის სანიტარული ჭრები შეჩერებულია (ინტერვიუ ჩაწერილია 1 აგვისტოს), მაგრამ ამ დღეებში აღნიშნულ სამუშაოებს დავიწყებთ, რადგან 20000 მ³ შეშა სოციალური ჭრებისათვის არის გამოყოფილი. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ რაოდენობის სოციალური ჭრა უნდა განხორციელდეს მოსახლეობის საჭიროებისათვის. მალე შემოდგომა მოვა, ამინდი გაუარესდება და ყველანაირად ვეცდებით მანამდე მოვახერხოთ აღნიშნული სამუშაოების ჩატარება. ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებული ტყის მასივებიდან მაინცდამაინც სამასალე ფაქტურა არ გვაქვს, ჩვენი ტყე უფრო სათბობ მასალად გამოიყენება. მაგრამ თუ მოსახლეობა, ან სხვა მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მოგვმართავს ჩვენ სამშენებლო მასალისათვის, ჩვენ შეგვიძლია მათ ამაშიც დავეხმაროთ. რომ გითხრათ, ჩვენს ტყეებში სახარბიელო მდგომარეობაა – მეთქი, ეს ტყუილია. 20 წლიანმა „ბრძოლამ“ ტყესთან შედეგიც მძიმე გამოიღო და დღეს ტყე გასაფრთხილებელია ისე, როგორც არასოდეს. მინდა ვისარგებლო მოცემული ვითარებით და მოსახლეობას გაზეთის ფურცლებიდან კიდევ ერთხელ შევახსენო, რომ უნებართვო ჭრა ისჯება განსაკუთრებული კანონით. მინდა ისიც იღონ ყურად, რომ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ზედამხედველობის რეგიონალური დეპარტამენტის მიერ თითქმის ყოველდღიურად ტარდება რეიდები უნებართვო ჭრების გამოსავლენად – ჯარიმა საკმაოდ სოლიდურ თანხას შეადგენს. გეტყვით, რომ 30 ლარიდან 100 ლარამდეა – თუ ტყეში ნახეს ფაქტი, თუ ტრანსპორტით გამოტანილია – 1000 ლარი, სასამართლოზე გადაცემული პიროვნებისათვის ჯარიმა 500 ლარია, ასე, რომ ნუ ჩავიგდებთ თავს ნურც უხერხულ მდგომარეობაში და ნურც შევეცდებით უფრო მეტი ეკონომიკური ზიანი მივაყენოთ საკუთარ ოჯახებს. ამასთან, შეგახსენებთ, რომ ჩვენ ტყის მცველებს მართალია არავითარი საჯარიმო ბერკეტები არ „გვიჭირავს ხელში“, მაგრამ ჩვენ პოლიციასთან ერთად გვეძლევა უფლება კერძო პირის სახლში, ეზოში შესვლის და ტყიდან უნებართვოდ გამოტანილი შეშის ნახვის. შემდეგ კი უკვე საქმე აღიძვრება... – თუმცა სასიხარულოა, რომ ჯარიმების გაზრდამ შეანელა ტყის უნებართვო ჭრები.

ჩვენ – ტყის მცველებმა, მოსახლეობასთან ერთად უნდა შევძლოთ ჩვენი სიმდიდრის – ტყის გადარჩენა. ტყე, მოგეხსენებათ, მხოლოდ მასალა და შეშა არ არის, ტყე ჯანმრთელობაა, საყოფაცხოვრებო პირობების წყლით გაუმჯობესების საშუალებაცაა. ამასთან, ჭირს ტყის ზედამხედველობა, რადგან ერთი ტყის მცველი ყოველდღიურად 3000 ჰა-დან 6000 ჰა-მდე ტყის მასივს ვერ გააკონტროლებს.

ჩვენი მუნიციპალიტეტის ტყის ფონდში არის სახნავ-სათესი, სათიბი ფართობები, რომლებიც მოსახლეობაზე იჯარითაა გაცემული, ასევე იჯარითაა გაცემული ყოფილი სანერგე მეურნეობის ტერიტორიაც.

მინდა გითხრათ, რომ გაზაფხულზე მშვენივრად წამოიზარდა ტყეში მუხის, იფნის, სხვადასხვა ჯიშის ხეების ნაზარდები, მას კი მოფრთხილება სჭირდება. ამიტომ მოსახლეობა, ფერმერები ყველანაირად უნდა მოუფრთხილდნენ და არ შეუშვან შიგ საქონელი, რომელიც დიდ ზიანს აყენებს ახლადწამოსულ ხეებს.

<u>დასასრული</u>

მხოლოდ ბუჩქნარი, რომელიც ნადგურდება საქონლით.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა სახელმწიფო ტყეებში, მაგრამ აქაც ყველაფერი არ არის კარგად... (გზების არ არსებობა, დაცვა, მიდის არაკონტროლირებადი ჭრა).

სატყეო მეურნეობა უნდა იყოს მოწყობილი არა მარტო სატყეოს შემოსავლებისათვის, არამედ წყლის შენარჩუნებისათვის, და ნიადაგდაცვითი მნიშვნელობით, ასევე უნდა გათვალისწინებული იყოს სოფლის მეურნეობის თავისებურებები (გაშენება დაბალ ღეროიანი ჯიშებისა ვენახების სარებისათვის), ასევე მოხდეს საქონლის ძოვის რეგულირებაც).

ფოთლოვანი ტყეების თვითგანახლება შეიძლება მოხდეს მშვენივრად, რომ არ იყოს საქონლის შეყვანა და ძოვება.

სოფლის მეურნეობის საქმიანობისათვის ტყის გაჩეხვა ხდება სწორ ადგილებში, სადაც ნიადაგდაცვა და წყალდაცვა ტყით არ არის დიდი. საქონელი კი ანადგურებს ტყეს მიუვალ ადგილებში, ფერდობებზე, კლდეებზე, ამით ისინი ხელს უწყობენ ახალი ხევებისა და უფსკრულების წარმოქმნას. ვინაიდან მეცხოველეობა ძალიან განვითარებულია და ძირითადად დამხმარე მეურნეობაა, ამიტომ ძოვის საკითხი მთის ტყეებში არის უდიდესი და გარდაუვალი ბოროტება. ტყის პატრონის ყველა ძალა უნდა იყოს მიმართული იმისაკენ, რომ შეამციროს, მიიყვანოს მინიმუმამდე, რამდენადაც ეს შესაძლოა ძოვის შედეგად მიყენებული ზარალის შესამცირებლად.

ცივ-გომბორის ქედის ტყეები იცვლება არა მარტო ვერტიკალური მიმართულებით, არამედ ასევე, ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ და დამოკიდებულები არიან კავკასიონის მთავრი ქედის სიახლოვეზე ან სიშორეზე. რაც უფრო ახლოს არიან ქედისკენ, მით უფრო მეტი ნალექია და ტყეებიც უკეთესია, სიშორესთან ერთად ნალექების რაოდენობა მცირდება და მატულობს სტეპების მცენარეები, რომლებიც მთლიანად სცვლიან ტყეს.

ამ ტყის ჯიშების უმეტესობაა: მუხა, წაბლი, ფიჭვი, არყის ხე...

თანდათან ხდება ტყის მცენარეების გაქრობა და ეკალ-ბარდით ჩანაცვლება. ოდითგანვე იყო მიღებული ზამთრის პერიოდში მშიერი საქონლის საჭმელად ხის ტოტების ჩამოჭრა და საქონელი შეჩვეულია მას – ანადგურებს ყველა ახალმოზარდ მცენარეს. ეკალ-ბარდა მცენარეები არის: ძეძვი, კუნელი, ასკილი, მაყვალი, ჟასმინი, ქაცვი, ტირიფი. ძეძვს აქაური მოსახლეობა იყენებს ღობეების გასაკეთებლად.

ცივ-გომბორის ქედის ნიადაგი განსხვავდება კავკასიონის სხვა რეგიონის ნიადაგისგან. თავისი შემადგენლობით დაბლობის ნიადაგთან შედარებით აქ უმეტესად გადარეცხილი ნიადაგია (უფრო ჩონჩხური) მეტი კონგლომერატებია...

ტყის ქვეშ ნიადაგი 20-30 სანტიმეტრი სიღრმეზე შეიცავს კირქვას. კირქვიანი ნიადაგი უფრო ნაყოფიერია.

ცივ-გომბორის ქედის ტყეები შეიძლება გაიყოს 2 სარტყელად: დაბალღეროიანი (3500’-მდე) და მაღალღეროიანი (მუხა, რცხილა, წიფელი) ტყის ნაპირამდის.

შლეიფების და მთების წინამდებარე ტყეები შეიძლება გაიყოს 4 ტიპად: ეკალ-ბარდი, რცხილა-ლიანა (ხეობებში), ჯაგრცხილა და მუხა-რცხილა ტყეები.

1912 წლისათვის კი ცივ-გომბორის ქედის შლეიფის ტყეები გამოიყურება ასე: ტყის მტაცებლური გამოყენების შედეგად მიდის ყველაფერი ღირებულის განადგურება, ყველაფერი კარგი ნადგურდება და უვარგისი, ფუღუროიანი, ფორმადაკარგული რჩება

ს.ზ. ქურდიანის ამავე წიგნში ტყის გაფრთხილებისა და განახლებისათვის მოცემულია შემდეგი რჩევები:

1. მეურნეობისათვის უფლება მიეცათ მოეჭრათ საჭიგოვე მასალა 10 წელიწადში ერთხელ (10 წლიანი ციკლი).

2. ძოვის რეგულირება: თხების გარდა წვრილი საქონელი შეიძლება შეიშვას ტყეში 3 წელიწადში ერთხელ, მსხვილფეხა საქონელი – 5 წელიწადში ერთხელ.

ვ. ბრძელიშვილი – საგარეჯოს სატყეო



მეურნეობის დირექტორი 1991-2003 წლებში:

– 1937 წელს საგარეჯოს სატყეო უბანი თბილისის სატყეოსთან იყო მიერთებული, მხოლოდ 1944 წელს მოხერხდა საგარეჯოს სატყეო მეურნეობის ცალკე ჩამოყალიბება ოთხ სატყეო უბნად. 1950 წელს აქ ტყეთმოწყობა ჩატარდა, დაისახა ხის მოჭრის გეგმა. მაგრამ ყოველივე ამან ის შედეგი არ გამოიღო, რასაც ელოდნენ და 1961 წელს ახლიდან დაიგეგმა ტყეთმოწყობის ჩატარება. სწორედ ამ დროს 4 სატყეო უბნიდან 9 სატყეო უბანი შეიქმნა, ხოლო 1971 წლის ტყეთმოწყობის მასალების მიხედვით საგარეჯოს რაიონში უკვე 11 სატყეო უბანია. ამ დროისათვის ტყის ფართობი იცვლებოდა, ეს ცვალებადობა სოფლის მეურნეობის მიწების ცვლასთან იყო დაკავშირებული – 37400 ჰა ითვლებოდა ტყის ფართობად 1971 წლის ბოლოსათვის. 1981 წელს კვლავ ჩატარდა ტყეთმოწყობის სამუშაოები და ტყეს 38774 ჰა ეკავა, შესაბამისად ეს ფართობი 8 სატყეო უბნად დაიყო. 1991 წლის ტყეთმოწყობის მასალების მიხედვით კი ტყეს 38995 ჰა ეკავა.

1995 წელს ქვეყნის პარლამენტმა მიიღო შესაბამისი დადგენილება, ხოლო 1996 წლის 11 აპრილის მთავრობის დადგენილებით ყოფილი საბჭოთა მეურნეობისა და საკოლმეურნეო ტყეები მთლიანად სატყეო მეურნეობებს გადაეცა და 38995 ჰა ტყეს ჩვენს რაიონში 4646 ჰა-ც დაემატა. ასე, რომ ჩვენი რაიონის ტერიტორიაზე არსებული 43641 ჰა ტყე სახელმწიფო ტყის ფონდის საკუთრებად გამოცხადდა, რომელსაც 6 უბნის უფროსი და 41 ტყის მცველი ემსახურებოდა.

2000 წლისათვის 8008 ჰა ფართობზე იყო ტყის კულტურები გაშენებული. 10 წლის შემდეგ იცვლებოდა ამ მიწების კატეგორია (იზრდებოდა ხეები), რადგან ის უკვე ტყის ფართობში გადადიოდა. ისე, რომ ტყის ფონდის მარაგში ტყის დაფარვა ხდებოდა. ტყის დაუფარავი ფართობი კი 9000 ჰა-ს შეადგენდა. საგარეჯოს რაიონის არასატყეო მიწები, რომელშიც შედიოდა სათიბი, საძოვარი, სახნავ-სათესი, გზები და ა.შ. სულ 2400 ჰა იყო.

საინტერესოა, რომ 1991 წელს ტყეთმოწყობის ჩატარებით გაირკვა, რომ ჩვენი რაიონის ტერიტორიაზე ტყის სიხშირემ კარგი სურათი წარმოადგინა, თუ ადრე 100მ³ მეტრი იყო 1 ჰა-ზე, 1991 წლის ტყეთმოწყობის მონაცემებზე დაყრდნობით გაირკვა, რომ მატებამ 1 ჰა-ზე 128მ³ შეადგინა, ხოლო მარაგმა 0.005 მ³ მატება აჩვენა.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, ტყეთმოწყობის ჩატარება და ტყემარაგის განსაზღვრა, ტყის სრული ინვენტარიზაცია დღეისთვის რთული საკითხია, რადგან ჯერ ერთი, ტყეთმოწყობის იმ რთულ და საპასუხისმგებლო საკითხებში კარგად უნდა ერკვეოდეს ადამიანი, მეორეც დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და მესამეც ტყე იმდენად არის გამეჩხერებული, დეგრადირებული, რომ ძნელია აქ სრული ინფორმაციის მოპოვება.

ტყეების მასობრივი გაჩანაგება, უნებართვო ჭრები გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო, როცა ქვეყანაში მოიშალა წესრიგი და უკანონო ძალები ქაოსურად მართავდნენ სახელმწიფოსაც და რაიონებსაც. ბუნებრივი აირის შეწყვეტამ მოსახლეობას უბიძგა ძვირადღირებული ხეების, ქარსაცავი ზოლების, დასახლებულ პუნქტებთან ახლომდებარე ტყეების გაჩანაგება და არა წესრიგს დამორჩილებული სანიტარული ჭრა. მდგომარეობა უმართავი გახდა, ვეღარც სატყეო მეურნეობის მუშაკები უძლებდნენ გაჭირვებული მოსახლეობის ზეწოლას და უკვე მათაც ხელიდან ეშვებოდათ ტყის შენარჩუნების ბერკეტები. მიუხედავად ძალისხმევისა, მონდომებისა, ცარიელი ხელებით ტყისმცველი ვეღარ უმკლავდებოდა ტყიდან შეშის გასატანად შესულ ადამიანებს. ამას ზედ დაერთო ნახშირსაწვავების, „ბენზინსახდელების“ მომრავლება ტყეებსა და კერძო პირთა ეზოებში... თანდათან ჩანაგდებოდა ტყე, გამოუვალი მდგომარეობა შეექმნათ ტყის მცველებს...

1994 წლის მდგომარეობით ტყის კულტურების გაშენებაც ვეღარ ხერხდებოდა. 50 ჰა-ს ნაცვლად, ამ წელს მხოლოდ 32.6 ჰა-ზე გაშენდა. მიზეზი კი ისევ ქვეყნის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა იყო – საწვავისა და საპოხ-საცხები მასალების მწვავე დეფიციტის გამო მართლაც შეუძლებელი იყო ამ სამუშაოების სრულყოფილად ჩატარება. ასევე, სანერგეში 6 ჰა სანერგე და 8 ჰა სკოლა უნდა გაშენებულიყო, მაგრამ აქაც შესაბამისად 3.8 და 3.5 გაშენდა მხოლოდ. სანერგე ფართობის აუთვისებლობა აქ სათესლე მასალის უქონლობამ გამოიწვია, რომელიც გაერთიანება „საქტყეთესლმა“ ვერ უზრუნველყო.

ამ პერიოდისათვის უკვე საკმაოდ იყო დაზიანებული ისეთი დიდი სატყეო უბნები, როგორიც კაკაბეთის, მანავის, გიორგიწმინდის და საგარეჯოს უბნები იყო. ასევე, მძიმე მდგომარეობაში იყო ე.წ. საკოლმეურნეო ტყეები, რომელთა დაცვასა და შენახვაზე პასუხისმგებელი შესაბამისი მეურნეობრივი გაერთიანებები იყო. აქ საგანგაშო მდგომარეობა იყო ყანდაურის, მანავის, პატარძეულის და სხვა საკოლმეურნეო ტყეებში, სადაც უკანონო ჭრებს უკვე ვეღარ აჩერებდა ქვეყანასა და რაიონში შექმნილი ეკონომიური მდგომარეობა.

2007 წელს კი რაიონებში სატყეო მეურნეობის თითქმის გაუქმებამ გამანადგურებელი ზიანი მიაყენა ტყეს. მაშინ, როცა მაგალითად, კაკაბეთის სატყეო უბანზე 11-12 კაცი ემსახურებოდა ტყის დაცვას, ახლა მხოლოდ თითო კაციღა დარჩა ამხელა ფართობის მოსავლელად.

2010 წლის მოახლოებული არჩევნებისათვის კი შეშის ვაუჩერის გაცემამ, რომლის საშუალებითაც ადამიანს 2012 წლამდე უგრძელდებოდა გამოყენების ვადა (ამასთან ვის ხელში ხვდებოდა ზოგჯერ ვაუჩერი, არავინ იცოდა), მთლად განადგურების პირზე მიიყვანა ჩვენი ტყეები.

დღეს კი შექმნილ ვითარებაზე გვესაუბრება **კობა ლაფერიშვილი** – *სხიპ*

შური აზიანებს ადამიანის სულს

„შური არს წუხილი სხვისა სიკეთესა ზედა“ – *ს.ს. ორბელიანი*

შურს ღრმად აქვს ფესვი გადგმული ჩვენს არსებაში. მთელი სიბრძნე ის არის, ეს გრძნობა შევამჩნიოთ და მასთან გამკლავება ვისწავლოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ როდესაც ვინმესი შეგვშურდება, აღსარებაში ვთქვათ, მოვინანიოთ, ჩვენს არსებაში შურის გაჩენისთანავე ლოცვა უნდა დავიწყოთ - ეს საოცრად ამსუბუქებს სულიერ მდგომარეობას. ღვთაებრივი მადლის მეოხებით ყოველგვარი ვნების დაძლევა შეიძლება.

იყო ერთი ხელმოკლე კაცი, რომელიც დღედაღამ შრომობდა, მაგრამ მაინც დიდი გაჭირვებით არჩენდა ცოლ-შვილს. ერთხელ ზღვის პირას ქვაზე ჩამოჯდა და მზერა მიაპყრო ძვირფასი საქონლით დატვირთულ გემებს, რომლებსაც ზღვის პირას ცლიდნენ. გლეხკაცს გულში ბოროტმა ფიქრმა გაურბინა: “უფალო, ზოგისთვის რამდენი სიმდიდრე მიგიცია, მე კი ლუკმაპურის შოვნაც მიჭირს. რა იქნება მეც გადმომხედო წყალობის თვალით და ტანჯული ცხოვრება შემიმსუბუქოო.” ამ ფიქრში გართულს ჩაეძინა. ესიზმრა, რომ მაღალი მთის ძირას იდგა. უეცრად ერთი თეთრწვერა მოხუცი გამოეცხადა, თან გაიყოლა და უცხო ადგილას მიიყვანა, სადაც ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, რკინის, ქვისა და ხის ჯვრები ეწყო. “აიღე, რომელიც გსურს”, - უთხრა მოხუცმა. ღარიბმა ჯერ ოქროს ჯვრის აღება მოინდომა, შემდეგ დანარჩენებისა , მაგრამ ხის ჯვრის გარდა ვერც ერთს ძვრა ვერ უყო. “ოქროს ჯვარი მეფისაა, - მოესმა კაცს, - ვერცხლისა - მწყემსმთავართა და წარჩინებულთა, სპილენძისა - მეომრებისა და მხედრებისა , ქვისა - ვაჭართა, ხოლო ხის ჯვარი, რომელიც აიღე და მთაზე აიტანე, შენი ნამდვილი ჯვარია. შენი ხელობა – მიწის მუშაობა - უცოდველი ხელობაა. მდიდარი რომ ყოფილიყავი ღმერთს დაივიწყებდი: დიდებული რომ ყოფილიყავი, მდაბიოთ დაჩაგრავდი; ვაჭარი რომ ყოფილიყავი, მუდამ ტყუილით იცხოვრებდი... გულთამხილავმა უფალმა იცოდა, რომ ყველა სხვა საქმეში სულს დაიღუპავდი და ამიტომაც მოგცა მდაბალი და მსუბუქი ჯვარი”. სწორედ ეს ჯვარი იყო ამ კაცისთვის მაცხოვნებელი.

არქიმანდრიტი კირილე (პავლოვი) აღნიშნავს: “უფლის სამართალი ყველას იმას აძლევს, რაც მისთვის სასარგებლო და სასიკეთოა. ვის შეუძლია ამტკიცოს, ბედნიერი რომ ყოფილიყო უფრო პატიოსნად და ღვთისმოსავურად იცხოვრებდა?! გამოცდილება ხშირად საპირისპიროს გვიჩვენებს: სააქაო ბედნიერება ვნებს ადამიანს, უბედურება კი აფხიზლებს, ამდაბლებს, მორჩილებაში ამყოფებს. ადვილი შესაძლებელია, სიმდიდრით, პატივითა და კეთილდღეობით გარემოცული ადამიანი, რა მშვენიერი პიროვნული თვისებებიც უნდა ჰქონდეს მას, გაამაყდეს, გახდეს პატივმოყვარე, ძუნწი, გარყვნილი და უფალი დაივიწყოს. ყოვლისმცოდნე ღმერთმა იცის, რომ ფართო და ვრცელია გზა სიამოვნებისა, ფუფუნებისა, კეთილდღეობისა, გართობისა, მაგრამ მას ადამიანი დაღუპვისკენ მიჰყავს, ხოლო შრომის, ტანჯვის, სიამოვნებათა მოკლების ვიწრო გზას ხსნისაკენ მივყავართ. ამიტომაც ადამიანს ამ ქვეყანაზე განსაცდელი უფრო მეტი ეძლევა, ვიდრე შვება, ამიტომაც უფრო მეტია დანაკარგი, ვიდრე შენაძენი; მეტია შრომა და ცრემლი, ვიდრე განცხრომა და სიამოვნება; ამიტომ სიხარული ყოველთვის მწუხარებასთან არის გადაჯაჭვული, გართობა და სიამტკბილობა ხშირად მოწამლულია სასოწარკვეთითა და სევდით”.

წმინდა სებასტიანე ყარაღანდელს ჩვევად ჰქონდა: ვისაც მდიდრებისა შურდა, მიჰყავდა ღატაკ ქვრივებთან და ეუბნებოდა: აი, შეხედეთ ხალხი როგორ ცხოვრობს, თქვენ კი სიმდიდრის ყურება გიყვართ. ეს ვერ გიხსნით”.

ადამიანმა აუცილებლად უნდა შეინანოს, თუკი ვინმესი შურს სიმდიდრე, ბედნიერება, ჯანმრთელობა, ნიჭი, სილამაზე, წარმატება და სხვა რამ. ადამიანმა აუცილებლად უნდა შეინანოს.

საუკეთესო იარაღებია ამ სურვილებისა და აზრების მონანიება აღსარების საიდუმლოში, ხშირი ზიარება, სხვების განკითხვისგან თავის შეკავება.

წმინდა მამები გვასწავლიან, რომ ქრისტიანი გულში მუდმივად უნდა ლოცულობდეს. განუწყვეტლივ ლოცვისთვის მართლმორწმუნენი ყველაზე ხშირად მიმართავენ იესოს ლოცვას: “ უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი!” წმინდა გრიგოლ პალამა გვასწავლის, ნურავინ იფიქრებს, თითქოს მხოლოდ სამღვდელო პირებსა და მონაზვნებს ევალებათ განუწყვეტლივ და მარადის ლოცვა და არა - ერისკაცებსო. ჩვენ, ყველას, ქრისტიანებს, გვევალება, ყოველთვის ვლოცულობდეთ, როდესაც ხელსაქმეს ვუსხედვართ, დავდივართ, საზრდელს ვიღებთ, ვსვამთ, ყოველთვის შეგვიძლია ვილოცოთ გონებით და აღვასრულოთ გონებითი ლოცვა, ღვთისათვის სათნო, ჭეშმარიტი ლოცვა. სხეულით ვიმსახუროთ, ხოლო სულით ვილოცოთ.

მართლმადიდებლობა

წმინდა მამების მონათხრობი

ცოდვილიც რომ ვიყო შენდობა გმართებდა

წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალმა კონსტანტინოპოლამდე გაილაშქრა. პონტოში ის ორ მონაზონს – პეტრე მღვდელსა და სამოელს შეხვდა. საღმრთო გამოცხადებით პეტრე ქართლის კათოლიკოსად უნდა დადგენილიყო, ხოლო სამოელი – ეპისკოპოსად უნდა ეკურთხებინათ. წესით და რიგით ისინი ვახტანგს კონსტანტინოპოლის პატრიარქისგან უნდა გამოეთხოვა, რადგან მისი მორჩილნი იყვნენ, შემდეგ კი ანტიოქიის პატრიარქთან გაეგზავნა – მაშინ ქართლის ეკლესია ჯერ კიდევ მას ემორჩილებოდა. პეტრესა და სამოელის ჩამოსაყვანად მეფემ მოციქული გაგზავნა. ეს რომ მიქელ ქართლის მთავარეპისკოპოსმა გაიგო, შურით აღიძრა „იწყო რეცა ამბოხებად და მიზეზობად“. მოციქული მიუგზავნა სპარსეთიდან ჩამოსულ მეფეს – გავიგე, ქრისტე დაგიტოვებია და ცეცხლსა სცემ თაყვანსო. ვახტანგმა იუარა, მთავარეპისკოპოსი თავისას არ იშლიდა და საბოლოოდ მეფეც და მისი სპაც დაწყევლა. „თუმცა მართალი ვარ თავმდაბლად უნდა მოვიქცეთო“,– თქვა მეფემ და ჩამოქვეითდა, რათა ფეხზე ამბორ ეყო მიქელ მთავარეპისკოპოსისათვის, მან კი ფეხი ჰკრა და მეფეს კბილები ჩაულეწა. – შენი სილაღე და ამპარტავნება ეშმაკის საცდურიაო, – თქვა მეფემ, – ცოდვილიც რომ ვიყო, შენდობა გმართებდა. შეიტყვე, რომ შენზე უდიდესი მომყავს ქართლში და ბოროტი შურით აღიძარ, ვითარცა იუდა პეტრესთვის. რამეთუ შენ ხარ იუდა, ეკლესია კი პეტრე. ვერცხლისმოყვარე ხარ და ქრისტეს მეგვადრუცეო, – და განრისხებულმა ჩამტვრეულ კბილებთან ერთად მიქელ მთავარეპისკოპოსი კონსტანტინოპოლის პატრიარქს გაუგზავნა დასასჯელად. მანაც დამნაშავე მღვიძარეთა მონასტერში განაწესა.

ჯაყელები ყაენს ემორჩილებოდნენ და არა ქართველთა მეფეს

ლაშა გიორგის ძე მეფე დავით ულუ, ერთხანს ყაენს განუდგა. ამ ამბოხში ქართლის დიდგვაროვანთაგან გვერდით მხოლოდ სარგის ჯაყელი დაუდგა, მაგრამ დადგა ჟამი დაზავებისა. მეფე დავითი და სარგისი ყაენს ურდოში ეწვივნენ. ყველას ეგონა ყაენი დახოცავდა მათ. რატომ განმიდექითო? – ჰკითხა ყაენმა დავითს. მას კი სათქმელი არაფერი ჰქონდა და სარგის ჯაყელს მიხედა, თითქოს ის იყო ამბოხების მიზეზი. სარგისი არ შეშინდა, დაემხო ყაენის წინაშე და ყველაფერი დაიბრალა. ვინ იცის, რა ეშველებოდათ ქართველებს, ამ დროს ყაენს მაცნე რომ არ მოსვლოდა – ბათუ ყაენი დარუბანდის გზით სალაშქროდ მოდისო. ყაენი ბრძოლისთვის გაემზადა. წინამბრძოლად დავითი დანიშნა, სარგის ჯაყელი წინ დაიყენა. უეცრად ისე მოხდა, რომ შველმა გაირბინა იქვე. სარგის ჯაყელმა ისარი სტყორცნა და მოკლა. მცირე მანძილი განვლეს და ახლა მელა მოკლა ისრით, ცოტა ხანში კიდევ – კურდღელი. მოეწონა ყაენს სარგისი და მტერს რომ სძლია, ჯაყელს კარნუ-ქალაქი და მიმდგომი ქვეყანა უბოძა.

შეშურდათ მავანთ და დავითს ჩააწვეთეს: მეფობაც სარგისს მიეცი ბარემ, ყაენმა ისე განადიდა, აღარ დაგემორჩილებაო. დაიჯერა დავითმა, ეჭვმა და შურმა დაუწყო ღრღნა, მივიდა ყაენის მრჩეველთან ელგონ ნოინთან და უთხრა, თუ ყაენი სარგისს კარნუ-ქალაქს მისცემს, ბარემ გაამეფოსო. გაუკვირდა ნოინს მისი ნათქვამი – ყაენმა მას შენი თანადგომისთვის მისცა ქალაქი და თუ არ გინდა, აღარ მისცემს. თქვენ, ქართველები, არას კეთილს უყოფთ მხნედ მეომართ – განა არ იცი, რომ ამ ომში სარგისმა ყაენი სიკვდილს გადაარჩინაო? ნოინმა ყოველივე მოახსენა ყაენს და მანაც გადაიფიქრა სარგისისთვის კარნუ-ქალაქის მიცემა. ამის შემდეგ სარგისი „გულაღებით და ქვეგამხედვარედ შეიქმნა“ პატრონის მიმართ. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. შემდგომში დავითმა სარგისი ტფილისში მოიწვია და შეიპყრო. ალბათ მოაკვლევინებდა კიდეც, ისევ მონღოლებს რომ არ ეშველათ. ამის შემდეგ ჯაყელები, ვიდრე გიორგი ბრწყინვალემდე უშუალოდ ყაენს ემორჩილებოდნენ და არა ქართველთა მეფეს.

მარიამობის მარხვა

14 აგვისტოდან მარიამობის მარხვა დაიწყო და 28 აგვისტოს, ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე დასრულდება. ქრისტიანულ სამყაროში ყოველადწმიდა სამების შემდეგ ღვთისმშობელი მარიამი იდიდება, რამეთუ იგი ქერუბიმებზე უპატიოსნესია და სერაფიმებზე აღმატებული. ეკლესიაც განსაკუთრებულ პატივს მიაგებს დედას ღვთისას. უდიდეს ათორმეტ დღესასწაულთაგან სამი - ღვთიმშობლის შობა, მიძინება (რომელსაც ეკლესია მარხვით ხვდება) და ყოვლადწმიდა მარიამის ტაძრად მიყვანება უშუალოდ ღვთისმშობლისადმია მიძღვნილი.

ეკლესიის ისტორიაში ამ მარხვის დაწყების ზუსტი თარიღი უცნობია, უცნობია აგრეთვე, როდის დაწესდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული.

წმინდა მამათა ნაშრომები, სადაც ღვთისმშობლის მიძინებაზეა საუბარი, IV საუკუნის ბოლოს არ სცილდება. ამ უკანასკნელთაგან ერთ-ერთი ნეტარ იერონიმეს მიეწერება. სხვა ცნობა, რომელიც VII საუკუნით თარიღდება, იერუსალიმის ეპისკოპოს მოდესტის ეკუთვნის. მიძინების დღესასწაულისადმია მიძღვნილი საეკლესიო საგალობლები, რომლებიც კოზმა მაიუმელსა (VII ს.) და იოანე დამასკელს (VIII ს.) მიეკუთვნება. შემორჩენილია V საუკუნეში მოღვაწე ანატოლი პატრიარქის ერთი საგალობელიც.

საეკლესიო მოღვაწე ნიკიფორე კალისტას ცნობით, მიძინების დღესასწაულის აღნიშვნა მავრიკიოსის მეფობის დროს დაწესებულა (უნდა ვიგულისხმოთ, რომ იმ დროს უკვე არსებული დღესასწაულის აღნიშვნა დაკანონდა).

როგორც საისტორიო წყაროები და სამართლებრივი ძეგლები გვაუწყებენ, საუკუნეების მანძილზე მარიამობის მარხვის შენახვა ყველა ავტოკეფალური ეკლესიის ტრადიციის არ წარმოადგენდა. მსოფლიო მართლმადიდებელმა სამყარომ დღესასწაულის საყოველთაო აღნიშვნა მოგვიანებით, დაახლოებით X-XI საუკუნეებიდან დაიწყო. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ანტიოქიის ეკლესიაში მიძინების მარხვა 1060 წელს პატრიარქ იოანესა და იმპერატორ კონსტატინე დუკას გადაწყვეტილებით დადგინდა.

ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში კონსტანტინოპოლის ცნობილი პატრიარქი ბალსამონი სამწყსოსადმი მიძღვნილ ეპისტოლეში მიძინების მარხვის შენახვის აუცილებლობის შესახებ წერდა.

ანასტასი კესარიელის ცნობით კი, მარიამობის მარხვა საყოველთაო მას შემდეგ გამხდარა, რაც საყოველთაოდ იქცა მიძინების დღესასწაულის აღნიშვნა (ეს დაახლოებით VI საუკუნეში, ლეონ ფილოსოფოსის მეფობის დროს მომხდარა), ე.ი. რაც ამ დღესასწაულმა საეკლესიო კალენდრებში კუთვნილი ადგილი დაიკავა.

უფრო ადრე ქრისტიანულ ეკლესიაში, მათ შორის ანტიოქიაშიც, ამ მარხვას კი ინახავდნენ, მაგრამ იგი სავალდებულო არ იყო, ამასთან, ხშირად განსაზღვრული არც მარხვის აღნიშვნის ზუსტი კალენდარული დრო გახლდათ - იგი ინდივიდუალურად, მწყემსმთავართა ლოცვა-კურთხევით აღესრულებოდა. იერუსალიმის კანონში მარიამობის მარხვა რვადღიან შემოიფარგლება, სტუდიის მონასტრის ტიპიკონით კი ოთხი დღე გრძელდებოდა.

რაც შეეხება დღეისათვის მართლმადიდებელ ეკლესიაში დაწესებულ მარხვას, იგი 1166 წელს კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებაზე “ძველ განწესებათა თანახმად” დაკანონდა. კრების თავმჯდომარე პატრიარქი ლუკა ყოფილა. ამ კრების შესახებ ბალსამონი წერს: “იმ დროისათვის ორჭოფობდნენ, თუ რამდენი დღე უნდა გაგრძელებულიყო მიძინებისა და შობის მარხვები, რაზეც წმიდა პატრიარქმა დაამოწმა: “მართალია, წერილობით არსადაა დაფიქსირებული ამ მარხვების ხანგრძლივობა, მაგრამ გადმოცემის საფუძველზე ერთი - პირველ (15) აგვისტოს, მეორე კი თხუთმეტ (28) ნოემბერს უნდა დაიწყოს”.

წმინდა დავით გარეჯელი მოსკოვში

პორტალ „მართლმადიდებლობა და მსოფლიოს“ სარედაქციო საბჭოს მდივანი , დეკანოზი ალექსანდრ ილიაშჩენკო ბრძანებს წმინდა დავით გარეჯელზე: „ამ ასკეტს, მოსაგრეს, მდუმარეს, ქალწულს, უფლისგან განსაკუთრებული მადლი მიეცა, რომ შეეწიოს დედაკაცებს ბავშვების გაჩენაში“.

შეგახსენებთ, რომ მოსკოვში, პოკროვკაზე დგას წმიდა სამების სახელობის ტაძარი, სადაც განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ ღირს დავით გარეჯელს. ყოველ ორშაბათ სადამოს, ხუთ საათზე, იქ აღესრულება წყალკურთხევის პარაკლისი, ღირსი დავითის დაუჯდომელთან ერთად. მოდიან იქ, საერთო სულით შეკრული ჩვენი თანამემამულე დედაკაცები, რომლებიც მრავალი წელია, შვილის მიცემას ევედრებიან უფალს.

და მუდმივად ხდება სასწაულები – ყველაზე უიმედო შემთხვევებშიც ჩნდებიან ბავშვები.

ერთი ჩემი მრევლის წევრი მძიმედ დაავადდა განუკურნებელი, იშვიათი და მტანჯველი სნეულებით. მადალკვალიფიციური ექიმები წლების განმავლობაში უნუგეშოდ ცდილობდნენ მის დახმარებას. მწუხარებამ ტაძარში მოიყვანა, იწყო სინანული, აღსარების თქმა და ზიარება.

მე ვურჩიე მას ღირსი დავითისთვის მიემართა. წავიდა სამების ტაძარში და წმინდანის ლოცვით სასწაული მოხდა. ექიმებმა, რომლებიც ადრე ვერაფრით ეხმარებოდნენ, შეარჩიეს ეფექტური მკურნალობა და ის არა მარტო განიკურნა, სამი მშვენიერი ბავშვიც გააჩინა. და მე უშუალოდ მოწმე ვარ ამ სასწაულისა. სამების ტაძარში გახსნილია სპეციალური ჟურნალი.

№15-16(77-78) 2014 წელი, 1-31 აგვისტო

მთა და მთიელთა ცხოვრება

გომბორელები

ბასული საუკუნის 90-იან წლებამდე აქ არც სასმელი წყლის პრობლემა იყო, არც დასაქმების, არც ასეთი გაჭირვება ჰქონდა ხალხს. აქ ძლიერი, რაიონში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი საბჭოთა მეურნეობა – მებოსტნეობა-მეცხოველეობის პროფილით, რძის გადამამუშავებელი ქარხანა მუშახელს ითხოვდა. ამასთან, აქ განლაგებული საბჭოთა ჯარის ნაწილი მხოლოდ გომბორელებს როდი ასაქმებდა მომსახურე პერსონალად. სასმელი წყლის 24 საათიან მომარაგებას ითხოვდა სამხედრო ნაწილი და გომბორელებსაც სასმელი წყლის 24 საათიანი მომარაგება ჰქონდათ.

დღეს (ჩაწერილია 4 აგვისტოს) იმ წლებს კარგად იხსენებენ გომბორელები. წარსულის მოგონებებით უმკლავდებიან თავს მოჯარულ პრობლემებს – იმ დაუსაქმებლობასაც, იმ უწყლოობასაც და საერთოდ, ადამიანური სითბოს, ურთიერთობის გაუფასურებისკენ წასვლას.

ერთი უბრალო, ჩვეულებრივი საუბარი გვქონდა, ქალები რომ ჩამოსხდებიან ჩრდილში, ამ მთისას, იმ მთისას იტყვიან, ერთმანეთს გულს გადაუშლიან, სათქმელს იტყვიან, მაგრამ ისე არა, ბოლომდე ითქვას და მასში უიმედობის, სასოწარკვეთის, გაურკვეველი მომავლის ეჭვი კიაფობდეს...

– გომბორის მეცხოველეობა-მებოსტნეობის მეურნეობას მეცხოველეობის ბრიგადა ჰყავდა – ერთი გომბორში, მეორე კოჭბანში. მეურნეობას რძის გადამამუშავებელი ქარხანა ჰქონდა და მეც ლაბორატორიაში ვმუშაობდი, – მეუბნება დარეჯან ბუდულაშვილი. – ზაფხულის სეზონზე დღეში 1500 ლიტრ რძეს ვღებულობდით ორივე ბრიგადიდან. 1კგ ყველის ამოსაყვანად 7-8 ლიტრი რძეა საჭირო. წარმოიდგინეთ, თვეში რამდენ კილოგრამს დაამზადებდა ჩვენი ქარხანა, სადაც მართლაც ბევრი ადამიანი იყო დასაქმებული.

– ასევე მეურნეობაში, სამხედრო ნაწილში, საბავშვო ბაღში, საექიმო ამბულატორია-საავადმყოფოში, სასოფლო კლუბში, ბიბლიოთეკაში, – ვაგრძელებ ჩამონათვალს...

დარეჯანი პროფესიით ზოოტექნიკოსია, ქარხნის დახურვის შემდეგ ისიც ჯერ სახლში იყო, ახლა კი სავაჭრო ჯიხურშია. მისი და თამარიც გომბორში ცხოვრობს ოჯახით. უმუშევრობის მწვავე პრობლემა მას და მის თანასოფლელს, ორი პატარას დედას ქეთევან ლომიტაშვილსაც აწუხებს. ისიც და მისი მეუღლეც საქმის გამოჩენას ელოდებიან, თორემ სოციალური დახმარება უცებ მოუხსნეს – საზღვარგარეთიდან ნათესავმა ცოტაოდენი ფული გამოუგზავნათ – მეუღლის სამკურნალოდ, თორემ სოციალურად დაუცველებს ის პატარა სახლიც უნდა გაეყიდათ...

საუბარში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი გომბორში გიორგი ჭინჭარაული შემოგვესწრო:

– მიმდინარე წელსაც გაგრძელდა „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების პროექტი ჩვენთან – სასმელი წყლის კიდევ ერთი სათავე გომბორის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგებისათვის. ეს იქნება სოფელ რუსიანის მიმდებარე ტერიტორიიდან, ე.წ. მრავალწყაროებიდან. მაგრამ 60 ტონიან ავზში 30 ტონა დიდი გაჭირვებით შემოდის – საგრძნობლად იკლო წყლის დებეტმა. ამის გამო მოსახლეობას არ ჰყოფნის სასმელი წყალი, მაგრამ, სათქმელია ისიც, რომ მოსახლეობა არ უფრთხილდება წყლის მარაგს. ერთი დღის განმავლობაში 5 კომლში 8 ტონა წყალი „დაიკარგა" – გამოიყენეს სარწყავად. ჩვენ სადამსჯელო ბერკეტები ხელთ არ გვაქვს, რა ვქნათ?! გომბორის ქვემო უბნებს წყალი 1-2 საათიღა მიეწოდებათ, – გვეუბნება გიორგი ჭინჭარაული და ავტომანქანით ცდილობს ისევ ზემოუბნების შემოვლას, ზემოუბანში მცხოვრებთა კიდევ ერთხელ გაფრთხილებას...

– ასეა, – მეუბნებიან გომბორელი ქალები, – რუსიანს გზის პრობლემა აქვს ყოველ წელს, გომბორსა და ასკილაურს სასმელი წყალი. კარგია, ყოველ წელიწადს „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით რაღაც კეთდება, მაგრამ როგორც ჩანს, ბოლომდე ვერა. სოფელს ხელი ძნელად მიუწვდება მედიკამენტებზე. მართალია, გვყავს ექიმი, ექთანი, 24 საათიანი მორიგეობა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების, მაგრამ თუ საჭირო წამლების ყიდვა გვინდა, ხან ვის ვაბარებთ და ხან ვის, თანაც მძღოლს აუცილებლად თანხა უნდა გადავუხადოთ, გააჩნია, რა თანხის წამალია. ძალიან უჭირთ პენსიონერებს. ამბობენ, აფთიაქის გახსნას დიდი თანხა – 15 000 ლარი მაინც სჭირდებაო, ასეთ თანხას ვერავინ იმეტებს და არც არავის აქვს, არადა, რა ვქნათ?

ტაძრის რესტავრაციაზე მომუშავე მრევლი

ასკილაური

– **ნეკრესელაშვილები** ახადიდან ჯერ თიანეთში ჩამოსახლებულან, თიანეთიდან ჩეკურანთგორში, იქიდან კი ასკილაურში. ასკილაური რატომ შეურჩევიათ ჩემს წინაპრებს?! რა ვიცი, ასკილაური უფრო მზისგულზეა და თოვლიც მალე დნება, – მეუბნება ასკილაურელი ვარა ნეკრესელაშვილი, – საქონელი ჰყოლიათ ჩემს მამა-პაპათ და აქაც შესაბამისი პირობები იყოო, ამიტომაც ბევრი ძროხები გვყავდა. სკოლაში

ვარა ნეკრესელაშვილი

წასვლამდე ძროხები საძოვარზე უნდა წაგვეყვანა ბავშვებს, მერე უფროსები გვენაცვლებოდნენ. ყველა შრომაში იყო ჩაბმული, დიდი თუ პატარა, ყველას საქმე უნდა ეკეთებინა, ისე მთაში ცხოვრება ჭირს. ჩვენს სახლში იყო დაწყებითი სკოლა გახსნილი. მამა კოლმეურნეობის ბუღალტერი იყო, დედა – დიასახლისი. დედას ექვსი შვილი ჰყავდა – 4 ვაჟი და 2 ქალი. აქედან ერთი ვაჟი 3 წლის გარდაეცვალა, მეორე – 16 წლისა 1946 წელს მოკლეს – საქონელს მწყემსავდა. მამა ომში 1942 წლის თებერვალში წაიყვანეს და აღარ დაბრუნებულა. პატარა ძმა – ალექსანდრე 11 თვისა დატოვა. დედა ავადმყოფობდა, მაგრამ ცდილობდა ვაჟებისთვისაც და ქალებისთვისაც განათლება მიეცა. ალექსიმ ისტორიული დედის და დების ხელშეწყობით დაამთავრა, თვითონაც სულ შრომობდა, მე წლების განმავლობაში ბუღალტრად ვმუშაობდი. მე დავრჩი დედმამის კერაზე. ძმები საგარეჯოში ჩასახლდნენ, დამაც საგარეჯოში შექმნა ოჯახი. მე ვარ ასკილაურში და ყოველდღიურად ამ სოფლის ცხოვრებით ვცხოვრობ. ვ ც ხ ო ვ რ ო ბ თ ნეკრესელაშვილები, გახუტელაშვილები, მირზაშვილები, პაპიაშვილები, ღვინიაშვილები, თიღილაურები, წივილაშვილები, წიკლაურები, ჩაჩაურაშვილები, ნიბლოშვილები; ვაშლიანიდან 50 წლის წინ ჩამოსახლებული საღირაშვილები, ღრუბელაშვილები, ჩიტიშვილები, ქოჩაშვილები. რა ექნათ, მთელი სახნავ-სათესი მიწები, გზები, საძოვრები მეწყერმა წაულეკათ. იმდენი ბავშვი გადიოდა ჩვენი სოფლიდან გომბორის სკოლისკენ, ერთ რამედ ღირდა მათი ცქერა, ახლა რა?! 12 ბავშვიღა დადის სკოლაში ჩვენი სოფლიდან.



მთიელი

სულ სამი უბანია სოფელში და ამ სამი უბნიდან 20 წლის წინ 100 ძროხა გაგვყავდა საძოვარზე. ახლა?! მხოლოდ 28 ძროხაღა თუ გავა საძოვარზე. აღარც ცხვარი გვყავს ასკილაურელებს – ერთი სამ ოჯახს თუღა ჰყავს ცხვარი...

რითი ირჩენს თავს სოფელი? ისევ ქალები მარჯვობენ, ტყეში სოკოა სოკოს დროს, შვინდი – შვინდობას, ასკილი, ღანძილი, ქაცვი, ძახველი, ტყემალი, მაყვალი, პანტა... უვლიან ბოსტანს, ელოლიავებიან მარჩენალ ძროხას, ზრდიან შვილებს, უვლიან ქმრებს, ამრავლებენ ფრინველს, ართავენ, ქსოვენ და ასე ჯახირ-ჯახირ გაჰყავთ წუთისოფელი.

პრობლემებს რა ჩამოთვლის – გვალვა ჩვენთანაც დადგა ამ ბოლო დროს. თუმცა ვისაც რა გვქონდა დათესილი – ლობიო, კარტოფილი, პამიდორი, ვცდილობთ შევინარჩუნოთ და უდანაკარგოდ ავიღოთ. რაც შეეხება იმ გასაჭირს, რომელიც ყველა მთის სოფელს და ბარისას აქვს, ჩვენთანაც არის – უწყლოობა, სასმელი წყლის დეფიციტი. უგზოობას ადამიანი აიტანს, თუ მართლაც მთის მწვერვალზე არ ცხოვრობს, მაგრამ უწყლობას?!..

რა ვიცი, ყოველ წელიწადს სოფელს რაღაც კარგი უკეთდება. ახლაც გომბორიდან წყალი უნდა მოგვეწოდოს ახალი სათავიდან. ვნახოთ, თუ გაუძლებს საზაფხულო მოთხვნებს ეს წყალი?!

უჯარმელები

წმინდა გიორგის ტაძრის ეზოში საძირკველი ჩაეყარა საკვირაო სკოლის შენობას. უჯარმელები ტაძარში სამუშაოებს ასრულებენ. აქ ახლიდან კეთდება სატრაპეზო, შეიცვალა ძველი კანკელი, სატრაპეზოს იატაკზე დაიგო ფილები. აქ შესასრულებელ სამუშაოებში აქტიურად მონაწილეობენ როგორც თბილისის, ისე ამავე ტაძრის მრევლი.

უჯარმის წმ. გიორგის სახელობის ტაძარი

ანზორ ჩაფიძე 80 წლისაა

გუნდების ქომაგი



ჩვენს თანამემამულეს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს დამსახურებულ მეტყევეს, ღირსების ორდენის კავალერს ანზორ ჩაფიძეს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

ანზორ ჩაფიძე დაიბადა 1934 წელს საგარეჯოში. 1953 წელს დაამთავრა საგარეჯოს საშუალო სკოლა. 1958 წელს კი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტი.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ანზორ ჩაფიძე მუშაობას იწყებს საკავშირო გაერთიანება ამიერკავკასიის ტყეთმოწყობის საწარმოში ინჟინერ-ტაქსატორის თანამდებობაზე, ხოლო 1958 წლიდან 1970 წლამდე მუშაობდა ტყეთმოწყობის ექსპედიციის უფროსად. ამ პერიოდში მან შემოქმედებითად იმუშავა საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, შორეული აღმოსავლეთის – ჩიტის და ირკუტსკის ოლქებში, ჩრდილოეთ რუსეთის ტაიგაში. იგი დიდხანს მუშაობდა მდინარე ლენის აუზის ტაიგის უღრან ტყეებში და და დიდი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება მიიღო. პარალელურად ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, გამოქვეყნებული აქვს 10-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც გარეკახეთის მუხნარი ტყეების აღდგენის საკითხებს ეხება.

ანზორ ჩაფიძის ორგანიზატორული თვისებებიდან პროფესიული უნარი შეუმჩნეველი არ დარჩა და იგი 1970 წელს სამუშაოდ გადაიყვანეს საქართველოს მთავრობის აპარატში სატყეო დარგში სახელმწიფო მრჩევლის თანამდებობაზე. იგი რამდენიმე ათეული წელი მუშაობდა მთავრობის აპარატში სატყეო დარგის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების საკითხების შესწავლასა და განვითარებაზე. მან დიდი შრომა ჩააქსოვა თავისი აღმზრდელის, ჩვენი თანამემამულის, გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის პროფესორ ვასილ ზაქარიას ძე გულისაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ღირსეულად დაფასებისათვის ფოტო-ალბომის გამოცემისათვის. ამჟამად იგი ეწევა პრაქტიკულ საქმიანობას. მთავრობის განკარგულებით საგარეჯოში მიმაგრებულია მიწის ფართობზე ვასილ გულისაშვილის სახელობის დენდროლოგიური პარკის გასაშენებლად, სადაც მის მიერ უკვე ჩატარებულია სამუშაოები ტყის უნიკალური ჯიშების გასახარებლად.

ამ პარკის გაშენების საქმეს იგი დიდი რუდუნებით ეკიდება. ანზორ ჩაფიძეს ყოველთვის ახასიათებდა თავისი ქვეყნის, თავისი მშობლიური კუთხის სიყვარული, მაღალი მოვალეობის გრძნობა და სიახლის ძიება. ისიც სათქმელია, რომ არავის მოკლებია მისი კაცური თანადგომა, ზრუნვა და ადამიანური სითბო.

ბ-ნი ანზორის ცხოვრებას ბავშვობიდანვე ალამაზებდა და დღესაც ახალისებს მისი სახელოვანი, მეგობრული წრე: სოსო კავთუაშვილი, ნუგზარ ლაფაჩიშვილი, დათო პეტრიაშვილი და სხვა) და მათთან ყოველდღიური ურთიერთობა. ბევრმა მათგანმა კი ამქვეყნიდან ნაადრევი წასვლით გული დასწყვიტა, მაგრამ მათ ოჯახებთან დღესაც ახლო ურთიერთობა აქვს.

ანზორ ჩაფიძეს ოჯახიც სანიმუშო აქვს. მეუღლე – ქ-ნი ქეთევანი ფიზიკოსია, უფროსი ვაჟი რამაზი ინჟინერ-მექანიზატორია, უმცროსი დავითი – მშენებელი ინჟინერი. ორივე ვაჟიშვილი დღეს დასაქმებულია და ეწევიან ქვეყნისათვის სასარგებლო საქმიანობას. 7 შვილიშვილი კი ახალისებს ანზორ ჩაფიძის ოჯახს.

ბატონ ანზორს ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, რათა ჩვეული ენერგიით გაეგრძელებინოს ნაყოფიერი საქმიანობა. დარწმუნებულები ვართ, რომ იგი თავისი ცხოვრებით, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით, ადამიანური ღირსებებით მუდამ იქნება სანიმუშო მაგალითი ჩვენი საზოგადოებისათვის.

საგარეჯოს საზოგადოება

პრობლემა მოგვარდა, ახალმა თავი იჩინა...

გვჭირდება თუ არა ასფალტი და ზღუდარები?!

საგარეჯოში და ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლებშიც ბოლო წლებია განხორციელდა მოსახლეობის მიერ პრიორიტეტად მიჩნეული პროექტები – ასფალტი დაიგო, მოწესრიგდა საუბნო გზები და ქუჩები... ავტომანქანების მოძრაობიდან ავარდნილი მტვერი აღარ აწუხებს მოსახლეობას და დიდი თუ პატარა, გადაგრილდება თუ არა, გარეთ, სამეზობლო სკამებზე გამოეფინება და არის ერთი გადაძახილ-გადმოძახილი, ბავშვების ყიჟინა და „კლასობანა“., „კრუგოი ლაფტა“. უფროსები გულდაჯერებით სხედან და საუბრობენ, აღარაფერი აწუხებთ, აღარც მტვერი და ახლადდაგებულ ასფალტზე დიდი სისწრაფით მომავალი მანქანები. ასე სჯობია, მშვიდად, წყნარად დადიან მანქანები, ქუჩაში გამოფენილი მანდილოსნები გულდადინჯებით საუბრობენ და გულდასმითაც ათვალიერებენ ავტოსალონში მყოფ მგზავრებს. ზოგჯერ ახალი სალაპარაკო მასალაც ეძლევათ...

დიახ, სწორედაც რომ ავტომანქანებისათვის სიჩქარის შემზღუდავი ზღუდარებია ქუჩაში გამოფენილი ხალხისათვის დიდი შეღავათი. პირველად ისინი ნინოწმინდის საჯარო სკოლასთან მიმდებარე ცენტრალურ ქუჩაზე გამოჩნდა, თუმცა მანამდე იყო ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, მამისაშვილის ქუჩებზე – ასფალტის მასალით დაგებული. მაგრამ... მობეზრდათ მძღოლებს ის ხელოვნურად განჭეული შემაღლებული „ტრამპლინი“ და და ღამ-ღამობით ნელ-ნელა გაქრა ის „ბუგაროვკები“ – აიღეს და გადაფხიკეს, ოღონდ ზაფხულის მიწურულს – ქუჩა აღარ სჭირდებოდათ აღარც ქალებს – „ნიავის ჩასაყლაპად“ და აღარც ბავშვებს – სათამაშოდ. მაშინ ხმა აღარ ამოუღიათ, მაგრამ დადგა ზაფხული და სოკოებივით ამოიზარდა სიჩქარის შემზღუდავი ზღუდარები – მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას მიმართა ხან ერთი ქუჩის, ხან მეორე, ხან მესამე ქუჩის მოსახლეობამ...

თუმცა, სიმართლე ითქვას, არც ისინი ტყუიან. მანქანა ისე მომრავლდა საგარეჯოში, ფეხით თითქმის აღარავინ დადის... თუმცა, იმ ფეხითმოსიარულეებსაც ძალიან გვიჭირს ქუჩის გადაკვეთა, განსაკუთრებით ქალაქის ცენტრში, დ. აღმაშენებლის ქუჩაზე, სადაც არც სიჩქარის შემზღუდავი საგზაო ნიშნები გვხვდება და არც მარჯვენა მხარეს, „საქართველოს ბანკისა“ და PSP-ს აფთიაქის წინ ავტომანქანის დგომის ამკრძალავი. არადა, გვახსოვს, ამ ქუჩის გაგანიერებას მართლაც რომ დიდი თანხა მოხმარდა, მოძრაობა ჭირს – სიჩქარის შემძღუდავმა ზღუდარებმა და მარჯვენა მხარეს თვითნებურად გაჩენილმა ავტოსადგომმა, დილა-საღამოს კი არა, დროის ყველა მონაკვეთში „საცობები“ გამოიწვია, აქ მძიმედ მოძრავი მანქანების ნაკადი გააჩინა, ამიტომაც გაჭირდა ქვეითადმოსიარულეთათვის ქუჩის გადაკვეთა...

ვისთვის მისაღები გახდა სიჩქარის შემზღუდავი ზღუდარები და ვისთვის მიუღებელი. მძღოლებისთვის მიუღებელი, რადგან ბიტუმის მასალისგან გაკეთებული ზღუდარის სიმაღლე ზოგან დასაშვებ ზომებს აღემატება, რაც მანქანის სერიოზულ დაზიანებას იწვევს.

თინათინ მეზვრიშვილი – მძღოლი: – ჩემთვის, როგორც მძღოლისთვის ზოგიერთ ადგილას განთავსებული ზღუდარი მართლაც რომ დამაბრკოლებელი და აგრესიის გამომწვევია. მაგრამ, იქ, სადაც სტანდარტი დაცულია, სადაც სიბნელისათვის სპეციალური მოწყობილობაა ჩამონტაჟებული, სრულიად მისაღებია. არც ერთ ქუჩაზე არ ხვდება მძღოლს საგზაო ნიშანი – წინ სიჩქარის შემზღუდავი ზღუდარის არსებობას რომ მიანიშნებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „უცხო“ მძღოლი შეიძლება სერიოზულ პრობლემასაც გადააწყდეს. მეორე მხრივ კი, მე, როგორც ბებია, ვფიქრობ, რომ საჯარო სკოლებთან მართლაც უნდა შეიზღუდოს სიჩქარე, მაგრამ იქნებ ჯობდეს, საგზაო ნიშნები განთავსდეს აქაც და დაიხაზოს გადასასვლელები (ე.წ. „ზებრები“), რომლებიც უფრო მეტ სიფრთხილეს მატებს მძღოლს, არც მოძრაობებს აფერხებს და მძღოლი მართლაც „კანონმორჩილი“ ხდება...

ბიძინა ბასილაშვილი – მძღოლი: – სიჩქარის შემძღუდვა ისედაც საჭიროა ისეთ ადგილებში, სადაც ქვეითადმოსიარულეთა გადასასვლელი ადგილებია, სკოლებთან, საბავშვო ბაღებთან. მაგრამ ბევრი მძღოლი არაფრად აგდებს ამ დაუწერელი მოძრაობის წესებს და გადამეტებული სიჩქარით მოძრაობს, რაც გარკვეულ საფრთხეს უქმნის ადამიანს. გაკეთდა შემზღუდავები. რა შედეგი მივიღეთ?! არსად არის გამაფრთხილებელი ნიშანი, რომ ახლოს სიჩქარის შემზღუდავია და გვხვდება ისეთი დაბრკოლება, რომელმაც შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი მოგვცეს. ახლო-ახლოს გაკეთებული „ბუგაროვკები“ მძღოლს აკარგვინებს დროს, ახარჯვინებს საწვავს და რაც მთავარია, ნერვულ სისტემაზე მოქმედებს. მანქანას ძალიან უზიანებს – მუხრუჭებს, სიჩქარის კოლოფს, ხმის ჩამხშობს ე.წ. „გლუშიტელს“, ხიდს – „პერედოკს“, საბურავებს და ა.შ. ადამიანების გონებამდე უნდა მივიდეს ის, რომ ქუჩებში უნდა იმოძრაონ მხოლოდ დასაშვები სიჩქარით.

თენგიზ კობიაშვილი – ავტომოყვარული: – ისეთი შთაბეჭდილება რჩება ადამიანს, თითქოს შემზღუდავი ზღუდარები მოდაშია და ამ მოდას არც ერთი ქუჩა არ უნდა ჩამოვარჩინოთ. გვხვდება ყველგან, არც მანძილია დაცული და არც ზღუდარის სიმაღლე. ხშირად ღამის სიჩუმეს მანქანების მძღოლების „შეჯიბრი“ არღვევს – ახალგაზრდები არიან და სხვა გასართობი ვერ ნახესო, ხშირად გაიგონებთ. ყველაფერს კონტროლი სჭირდება და სწორედ ამ მაკონტროლებელმა უნდა მოაგვაროს საკითხი – სად დაიგოს ზღუდარი, რა მანძილით, რა სტანდარტებით, ზუსტად განსაზღვროს ადგილი, დაიცვას წესრიგი დღეც და ღამეც.

ალექსი არაბული – მძღოლი: ადამიანის, საზოგადოების ცნობიერებაში ჯერ კიდევ მიუღებელი რჩება კანონები, რომლითაც უნდა ვიცხოვროთ. ჩვენ კანონმორჩილი როდის გავხდებით, არ ვიცით. ქუჩებში, მით უმეტეს ვიწრო ქუჩაზე ყველამ კარგად იცის, მოძრაობის სიჩქარე 40-60 კმ/სთ-ზეა დაყვანილი, მაგრამ იშვიათად შეხვდებით კანონმორჩილ მძღოლს, რომელსაც გამომუშავებული აქვს მოძრაობის წესების ზედმიწევნით დაცვა. თუმცა, არც ქვეითადმოსიარულეები იცავენ მოძრაობის წესებს. ამიტომ, ე.წ. „ბუგაროვკი“ იძულებითი სვლაა, მაგრამ მასში ხომ იხარჯება დრო და რაც მთავარია თანხა?! არ იქნებოდა საჭირო, ყველამ ჩვენ ჩვენი გასაკეთებელი და ჩვენი მოვალეობა ჩვენ თავადვე რომ შევიგნოთ.

დღეს სიჩქარის შემზღუდავი ზღუდარები დ. აღმაშენებლის, რუსთაველის, ჯაფარიძის ქუჩებზეა, ახლახანს გამგეობაში ჭავჭავაძის (თუმცა იქ უკვე 4 ზღუდარია 868 მეტრი სიგრძის ქუჩაზე), ქეთევან წამებულის, სოფელ წყაროსთავის (რწმუნებულის) მოსახლეობის ერთი ნაწილიდან შევიდა განცხადება – ზღუდარების მოწყობის თხოვნით, ასევე, ნინოწმინდის, №1 და №2 ქუჩების, 9 აპრილის, ერეკლე II და კახეთის ქუჩების გადაკვეთაზე მცხოვრებთაგან.

ზღუდარების დაგებაზე იმედია, არც ერთი ქუჩის მცხოვრებთ არ ეთქმით უარი, მაგრამ, მოსახლეობა ახლა „ღამის იდილიის“ დარღვევას ჩივის, ზღუდარებს მოახლოებული მანქანების სიჩქარის შეცვლა ღამის სიჩუმეში მართლაც გამაღიზიანებელია. ამდენად, ზღუდარების რაოდენობა, განლაგება, აუცილებლობა მართლაც რომ გასათვალისწინებელია, თორემ ვერხვიანი-კაკაბეთის ერთ მონაკვეთზე, ზედ სასაფლაოს შესასვლელთან, მეტად მკვეთრ მოსახვევში ორი ზღუდარის მოულოდნელი გამოჩენა ავტომანქანის მძღოლს ისე აბნევს, ავტოავარიის შესაძლებლობას ზრდის (ხშირადაც მომხდარა), თუ მშვიდობიანად გასცილდა იქაურობას მძღოლი, უკანმოუხედავად გარბის, ჰგონია, ეს ღამის გასართობადაა მიცვალებულთათვის გაკეთებული, თორემ იმ ადგილას ზღუდარი კი არა, მკვეთრი მოსახვევის მიმანიშნებელი საგზაო ნიშანი უნდა იდგეს, მით უმეტეს, უცხო მძღოლთათვის.

ისე, საინტერესოა, სიჩქარის შემზღუდავი ზღუდარი უფრო ძვირი ჯდება თუ საგზაო ნიშანი?! თქვენ რომელ;ს ირჩევთ, ძვირფასო მკითხველო?!

ისე, იქნებ ისიც გავიხსენოთ, გასული საუკუნის 70-იან წლებში საგარეჯოს ცენტრში, აფთიაქ „ავერსის“ წინ და დღევანდელი „PSP“-ს აფთიაქთან შუქნიშნები იდგა, რომელიც არეგულირებდა ქვეითადმოსიარულეთა და ავტომანქანების მოძრაობას...

თუმცა, ბოლო დროს მძღოლებს საპარტულო პოლიციის პატრულირების იმედი აღარ აქვთ, – ზღუდარების გამო ყველაფერი წესრიგში იქნება და რეიდებიც მოიშლებაო, ბევრს ასე ჰგონია, მაგრამ, როგორც ჩანს, მეტი სიმშვიდე და სიწყნარე სწორედ რომ პატრულირებას მოაქვს საგარეჯოელებისათვის.

ნანი კვლავ გამარჯვებულია ინდოეთში – მსოფლიოზე

შეხვედრა მუნიციპალიტეტის გამგებელთან

ცხრამეტი წლისაა. სულ ახლახანს საქართველოს ჩემპიონი გახდა ჭადრაკში. ჭადრაკის თამაში როდის დაიწყო, არ ახსოვს. სახლში შალვა პაპას ეპაექრებოდა ეს ერთი ციდა, ერთი ციცქნა გოგონა – მართალია, ფურუსულასავით ნაზი და იასავით მორცხვი იყო, მაგრამ პაპას არ დაუთმობდა ჭადრაკის დაფაზე არაფერს. უხაროდა პაპას, ეღიმებოდა და ეიმედებოდა. შემდეგ საბავშვო ბაღში მიიყვანეს და იქ მეორე „მეტოქე“ გამოჩნდა – ნინო მუჩიაური, თავისი აღმზრდელი და მასწავლებელი. ნინო მასწავლებელმა გაუდვივა სწორედ ნანის ჭადრაკის მიმართ ინტერესი, რომელიც შემდეგ სიყვარულში გადაიზარდა. სახლში დედა და პაპა, საბავშვო ბაღში ნინო მასწავლებელი და როცა სკოლაში პირველკლასელმა თითქმის ყველას მოუგო თამაში, მიხვდნენ, რომ უნაფქოშვილების ოჯახში სერიოზული მოჭადრაკე იზრდებოდა. უფრო მეტად გაფაციცდნენ, მეტი ხელშეწყობა გადაწყვიტეს და მწვრთნელ ელენე ფარეშიშვილთან მიიყვანეს ჭადრაკში დასახელოვნებლად... დედა სულ თან დასდევდა, მისი მომავლის ლამაზ ფერებში წარმოდგენას ცდილობდა...

– დედაჩემი დიდი ფსიქოლოგი იყო, ტურნირის, უბრალო შეჯიბრის წინ ისე გათვლიდა ჩემი მეტოქეების, ჩემი შესაძლებლობების მაჩვენებლებს, რომ ვფიქრობდი, როგორ შეეძლო ეწინასწარმეტყველებინა, ასეთი სიზუსტით გაეთვალა ჩემი მეტოქეების სვლები, რასაც საბოლოო ჯამში საჭადრაკო დაფაზე სწორი „მანევრირების“ დიდ შანსს მაძლევდა ხოლმე, – მეუბნება ნანი.

მაგრამ... დედა ვედარ მოესწრო სიხარულს, რომელიც ნანის კიდევ ერთმა გამარჯვებამ, 20 წლამდელ მოჭადრაკეთა ტურნირში გამარჯვებამ მოგვიტანა საგარეჯოელებს, ნანის კი ამ გამარჯვებამ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის საგზურიც არგუნა...

2005 წლის ფოთის ტურნირი ახლაც ახსოვს ნანის: – ეს პირველი სერიოზული გასვლა იყო ჩემთვის, მაშინ 10 წლიანებში ვიღებდი მონაწილეობას და საქართველოს მასშტაბით პირველი ადგილი დავიკავე. შემდეგ იყო ერთიც და მეორეც, რადგან სხვადასხვა ქვეყნის მოჭადრაკეებს ვხვდებოდი. გაცნობასთან ერთად მათ საჭადრაკო ხელოვნებასაც ვეზიარებოდი. მას შემდეგ ვხვდები აზერბაიჯანელ იბრაგიმოვს, საკმაოდ სერიოზულ მეტოქეს, ვხვდები მოჭადრაკეს სომხეთიდან.

ნანი ილიას უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის საბანკო-საფინანსო სპეციალობის II კურსის სტუდენტია. ჩუმი, მორიდებული გოგონა ძლიერ მოჭადრაკედ მხოლოდ მაშინ გაიცნეს, როცა უნივერსიტეტის შიდა საჭადრაკო ტურნირი მოეწყო და ნანიმ I ადგილი დაიკავა. თუმცა ეს მათთვის იყო გასაკვირი, თორემ ჩვენთვის, საგარეჯოელებისათვის?! ისიც გასაკვირია, რომ ტურნირის წინ ნანი სერიოზულ მომზადებას ვერ ახერხებს. მხოლოდ ელენე მასწავლებელთან 7-8-9-10 წლის მოჭადრაკეებთან, რომლებთანაც ახერხებს და რაღაცნაირად, კვირაში სამჯერ თბილისიდან მოდის საჭადრაკო გაკვეთილების ჩასატარებლად. ნანის კი არა, ჩვენც გვეხარბება სომეხი და აზერბაიჯანელი მოჭადრაკეების, რომლებიც წინასატურნირო მომზადებას სხვადასხვა ქვეყნებში, ცნობილ გროსმაისტერებთან გადიან.

მართალია ისევ ელენე ფარეშიშვილთან ემზადება ნანი, მაინც საკმაო წარმატებებიც აქვს:

2005 წელს ათწლიანებში – I ადგილი;

2010 წელს 16 და 20 წლიანთა – ქვეყნის პირველობა;

2012-2013 წლებში – 18 წლიანთა შორის I ადგილი;

2012 წელს 20 წლიანებში მეორედ მოიპოვა უძლიერესის ტიტული;

ეს კი, 2014 წლის 31 ივლისს მესამედ მოიპოვა ოქროს მედალი და 5-დან 20 ოქტომბრამდე ის ინდოეთში გამართულ 20 წლამდელ მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. წარმატებები ვუსურვოთ ნიჭიერ გოგონას, რომელიც მალე მსოფლიოს დაუმტკიცებს, რომ გარეჯელები მხოლოდ ჭიდაობის ფანდებით არ აცნობენ მსოფლიოს საქართველოს და ქართულ ჭიდაობასავით უძველესი სპორტული თამაშით, რომელიც გონიერებას მოითხოვს, გარეჯელები აქაც გამორჩეულები არიან.

შეხვედრა საპრეზიდენტო თავმჯდომარესთან

ამ დღეებში ნანის და მის მწვრთნელს ელენე ფარეშიშვილს, საგარეჯოს სპორტგაერთიანების დირექტორს გია მაისურაძეს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ახლადარჩეული გამგებელი გიორგი გზირიშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ფრიდონ ბურდული შეხვდნენ, რომელთაც მიულოცეს წარმატება ნანის და ახალი გამარჯვებებისკენ გზა დაულოცეს. ამასთან, ისაუბრეს და დასახეს სამომავლო გეგმები საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ჭადრაკის შემდგომი განვითარებისათვის.

ნანი უნაფქოშვილმა მადლობა მოუხადა ყველას და განსაკუთრებით გია ხოსიტაშვილს, ელენე ფარეშიშვილს, გია მაისურაძეს მხარდაჭერისა და წარმატებებისათვის მიღწევაში ხელისშეწყობისათვის.

შალვა გზირიშვილი – 100 წლისაა

შალვა ალექსანდრეს ძე გზირიშვილი 1931-1974 წლებში აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებაში, – იგი იყო საქართველოს აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში 1934 წელს, ასევე საქართველოს ჩემპიონის ტიტული ჰქონდა 1938, 1940, 1945, 1947, 1950, 1951 წლებში. 1938-1939 წლებში მონაწილეობდა საკავშირო ფიზკულტურელთა აღლუმში, ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში, 1941-1945 წლებსი მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში.

სპორტული მოღვაწეობის პარალელურად იგი ეწეოდა აქტიურ ორგანიზაციულ საქმიანობას რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის. 1939-1959 წლებში ხელმძღვანელობდა საგარეჯოს რ-ნის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტს. ამ ხნის მანძილზე რაიონის ქართულ მოჭიდავეთა გუნდი დიდ წარმატებებს აღწევდა რესპუბლიკის პირველობებში. მისი მწვრთნელად მუშაობის პერიოდში აღიზარდნენ საქვეყნოდ აღიარებული სპორტსმენები – მოჭიდავეები: ***საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სსრკ ჩემპიონი სპარტაკ ქარსაულიძე, საქართველოს აბსოლუტური ფალავანი და მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ანზორ ზურაბაული, სპორტის ოსტატები ძმები ელერდა შვილები*** და მრავალი სხვა.

მისი ხელმძღვანელობის პერიოდში გახდნენ მსოფლიოს, ევროპისა და საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონები: არსენ მეკოკიშვილი, ლევან თედიაშვილი, გივი ონაშვილი.

შალვა გზირიშვილი 1959 წლიდან მუშაობდა მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ფიზკულტურის მეთოდისტად 1974 წლამდე, სამეურნეო დარგში მოადგილედ. საგარეჯოს რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში ერთ-ერთი ძირითადი წამყვანი იყო.. მან თითქმის ყველა სოფელში შექმნა ფიზკულტურული ძირეული კოლექტივები. მისი ფიზკულტურის კომიტეტში მუშაობის პერიოდში შეიქმნა მრავალი სპორტული მოედანი, როგორც საჭიდაო, ისე ფეხბურთის.

შალვა გზირიშვილმა თავისი სიჭაბუკე მოანდომა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეს და ამ საქმეში იმოღვაწა 40 წელი. ამ ხნის განმავლობაში მას მიღებული აქვს მრავალი სიგელი და ჯილდო.

19 აგვისტოს, 16 საათზე, საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ღია საჭიდაო მოედანზე გაიმართება შალვა გზირიშვილის სახელობის ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა რაიონის მოჭიდავეები. ჭიდაობა გაიმართება „ფალავნობაზე“ და გათამაშდება პრიზი „ჭედილა“.

ᲞᲐᲤᲥᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ

ᲐᲓᲒᲘᲚᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲪᲣᲠᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ ᲔᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜ

საგარეჯოს აიპ №105 სასპორტო კომპლექსური სკოლა, ჩვენი მუნიციპალიტეტის ის ერთადერთი სასპორტო-საადმზრდელო კერაა, სადაც გარეკახელ პატარებს ჯანმრთელობის გაკაჟებასთან ერთად შეუძლიათ ცურვის დაუფლება. გარეჯელ პატარებსო, ვამბობთ, იმიტომ, რომ ამ სკოლის საცურაო აუზში საგარეჯოელ ბავშვებთან ერთად, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლების პატარებიც დადიან ცურვის შესასწავლად. გაგიკვირდებათ, მაგრამ მათთან ერთად გურჯაანისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლების პატარებიც არიან. ამ სპორტული კომპლექსის ფუნქციონირებას საფუძველი გასული საუკუნის 80-იან წლებში, მაშინდელი პარტიის რაიკომის I მდივნის მედეა მეზვრიშვილის თაოსნობით ჩაეყარა. თუმცა ამ საუკუნის დასაწყისისათვის ყველასათვის ცნობილი მოვლენების გამო, ცარიელი კედლებისა და სახურავის სახითღა შემორჩა. მისი ხელახალი დაბადებისა და აღორძინების თარიღად 2006 წელი სახელდება, როცა ჩატარდა მთლიანი კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები და იგი კვლავ ჩადგა ჩვენი პატარებისა და ცურვისმოყვარულთა სამსახურში. მას შემდეგ, აგერ უკვე მერვე წელია, კომპლექსი მეტ-ნაკლები წარმატებით ასრულებს თავისზე დაკისრებულ მოვალეობას და არაერთი მოზარდი დაუფლებია აქ ცურვის ხელოვნებას.

ცურვის შესასწავლად შექმნილი შესაფერისი პირობები და გარემო აქ ახლაც არაერთ მოზარდს იზიდავს, მით უმეტეს წლევანდელი თაკარა ზაფხულის პირობებში. იმის გასარკვევად, თუ როგორ ართმევს თავს ამ პირობებში თავისზე დაკისრებულ ფუნქციას აღნიშნული სასპორტო დაწესებულება, გადავწყვიტეთ ჩვენი თვალით მოგვენახულებინა მისი საცურაო აუზები. დღის 17 საათის აუტანელი სიცხის შემდგომ სპორტკომპლექსში სიგრილე და სიმშვიდე გვხვდება. სამუშაო კაბინეტში დაგვხვდნენ აიპ-ის დირექტორი იოსებ (სოსო) მარხვაშვილი და ბუღალტერი თემურ ილაური, რომელმაც გაგვიზარეს მიმდინარე საცურაო სეზონის ამბები.

– მიმდინარე ცურვის სეზონისათვის ჩვენს კომპლექსში იმდენმა ბავშვმა და ცურვის მოყვარულმა მოგვმართა, რაც არც ერთ წინა წლებში არ გვყოლია, რაც მხოლოდ სიცხესთან არ არის დაკავშირებული, – გვეუბნება სპორტკომპლექსის დირექტორი. – წელს შევძელით დიდი, ღია საცურაო აუზის ამოქმედება და მწყობრში ჩაყენება. წინა წლებში კი, როგორც თქვენ მოგეხსენებათ, ავარიული მდგომარეობის გამო, ეს აუზი წყალს ვერ იკავებდა და იქ დამსვენებლებს ვერ ვიღებდით. წელს კი ღია საცურაო აუზს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, აიყარა ძველი იატაკი, რომლის ნაცვლად დაიგო ახალი, შეიღება კედლები, ერთი სიტყვით, აუზი ფუნქციონირებისათვის სრულ წესრიგში მოვიყვანეთ, რომლის სარეაბილიტაციო სამუშაოები მთლიანად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ დააფინანსა და ახლა ამ აუზის სიკეთით ათეულობით მოზარდი და დამსვენებელი სარგებლობს.

წარმატებით ფუნქციონირებს მეორე, მცირე, დახურული საცურაო აუზიც, სადაც ძირითადში პატარები ცურვის მასწავლებელ დათო ჭყონიას ხელმძღვანელობით ეუფლებიან ცურვის საიდუმლოებებს. სულ სადღეისოდ ორივე არენაზე 300-მდე მოზარდი და პატარა დაცურავს.

– წლევანდელი ცხელი ზაფხულის პირობებში ცურვის სეზონის ნაადრევად გახსნა ხომ არ მოგიწიათ?

– არა, ჩვეულებრივად, როგორც ადრე ვიწყებდით ხოლმე, პატარებისათვის ცურვის შესასწავლად დახურული (პატარა) აუზი პირველ მაისს, ხოლო დიდი აუზი პირველი ივლისისათვის გავხსენით და მას შემდეგ აქ არ წყდება მომსვლელთა ნაკადი საგარეჯოდან, სართიჭალიდან, თელავიდან, თბილისიდან, გურჯაანიდან, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებიდან.

– წყლის დეფიციტის პირობებში უზრუნველყოფილი თუ სართ წყლის საჭირო მარაგით?

– ამის პრობლემა ჩვენ ნამდვილად არ გაგვაჩნია, რადგან სპორტკომპლექსს გააჩნია საკუთარი ჭაბურღილი, საიდანაც საჭირო დროს ვიღებთ აუზებში წყლის გამოსაცვლელ რაოდენობას.

– კომპლექსის მუშაობის გრაფიკი როგორია?

– დიდი, ღია საცურაო აუზი ჩვენთან დილის 10 საათიდან იხსნება და სადამოს 20 საათამდე მუშაობს, რაც შეეხება დახურულ აუზს, იგი დღის 14 საათიდან იწყებს ფუნქციონირებას.

– ცურვის შესასწავლ ტარიფებზე რას გვეტყოდით, რამდენად ხელმისაწვდომია იგი ჩვენი ხელმოკლე მოსახლეობისათვის, ძირითადად რომელთა ბავშვებიც აქ დადიან სამეცადინოდ, თორემ შეძლებული ხალხი ახლა შავიზღვისპირა და სხვა კურორტებსაა მოდებული?

– როგორც იცით, ჩვენთან შემოღებულია საბონენტო გადასახადი, რომლის ღირებულება პატარა აუზზე ბავშვებისათვის შეადგენს 30 ლარს თვეში. რაც შეეხება ღია აუზს, რომელიც დიდებზეა გათვლილი, აქ ერთი თვით აბონენტი იხდის 60 ლარს, ორი კვირით – 30 და 1 კვირით 20 ლარს.

– დახურულ აუზზე ალბათ უნარშეზღუდული ბავშვების მიღებაც შეგეძლებათ, თუ გაკითხავენ სპორტკომპლექსს ასეთი პატარების მშობლები?

– კი, როგორ არა, ასეთი ბავშვების მშობლებიც მოდიან ხოლმე ჩვენთან პირობების გასაგებად, მაგრამ რადგან არ გვყავს სათანადო სამედიცინო პერსონალი, უკანვე ვაბრუნებთ მათ. ცურვის მასწავლებლის (დავით ჭყონია), ინსტრუქტორის (ვაჟა კვლიშვილი), დამლაგებლის, სამი დარაჯის, დირექტორისა და ბუღალტრის გარდა ჩვენს დაწესებულებას სხვა შტატი არ აქვს. კარგი იქნებოდა, რომ გვყოლოდა მედიცინის მუშაკიც, თუმცა ამ ხარვეზს იმით ვივსებთ, რომ ჩვენთან მოსულებს ვთხოვთ ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობების მოტანას, რომლის გარეშე მათ არ ვიღებთ.

– რამდენადაც ვიცი, აქ დახურული აუზი შესაძლებლობას იძლევა ზამთარშიც იფუნქციონიროს... თუ ფიქრობთ ამ ზამთრისათვის ამის გაკეთებას?

– არა, ეს ნამდვილად ვერ მოხერხდება, იმის გამო, რომ ზამთარში არ არის მასზე ხალხის მოთხოვნილება და დიდ ხარჯებთანაცაა დაკავშირებული. ფაქტიურად, ზამთარში რომ მოეკითხებინოს ვინმეს ჩვენთვის, ეს შემთხვევა ჯერჯერობით არ მახსოვს. ზაფხულში კი, როგორი მოთხოვნაა ჩვენთან, ამას თქვენი თვალით ხედავთ. მობრძანდნენ, იცურაონ, დაეუფლონ ცურვის ხელოვნებას, გაიკაჟონ ჯანმრთელობა, ამისთვის მუდამ მზადყოფნაშია სპორტკომპლექსის კოლექტივი და ჩვენთან გადასახადებიც ხომ არცთუ ისე დიდია.

ესაუბრა *გივი დაბახიშვილი*

წუთისოფლის ჟურნალი

ციხეების ჩემპიონი

რაღაცნაირი ინტერესით, დაკვირვებულად ადევნებდა თვალყურს პატარძეულელი მოჭიდავეების ჭიდაობას. იცოდა, რომ პატარძეული, ეს ძირძველი ქართული სოფელი, თავისი ისტორიული წარსულითა და საქართველოსთვის თავდადებული შვილებით ამაყობდა. ომიც ახალი დამთავრებული იყო. საომარი აღარაფერი იყო, მაგრამ ერთმანეთს მაინც ეჭიდებოდნენ, ძალაში ცდიდნენ, "მოთელვას" აკეთებდნენ – ქართველები იყვნენ, სხვანაირად არც შეეძლოთ. ამასთან, უნდა ეშრომათ, მაგრამ წინაპართა მსგავსად, "კაი ყმის" სახელიც დაეგდოთ. საინტერესო კი როგორ არ იყო: შაქრო ელერდაშვილის და არჩილ ონაშვილის, შოთა ზუკაიშვილის სახელოვან გზას მიჰყვებოდნენ ნიკო მუჩიაური, თენგიზ და მურთაზ ელერდაშვილები, მთელი სოფლის ახალგაზრდობა. ჯერ კიდევ ბალღობისას ვერც უბანსა და ვერც პატარძეულის ორღობეებში, ვერც სკოლის გაშარავებულ ეზოში ვერავინ უბედავდა საჭიდაოდ გაწვევას. სკოლის მოსწავლე იყო და მის სახელს უკვე წონა ჰქონდა საგარეჯოში. საგარეჯოში გამართულ ჭიდაობის აფიშებს პირდაპირ აწერდნენ "დღეს იჭიდავებს ცუგო გვარიძიშვილი". ინტერესი დიდი იყო მაყურებლის, დიახ, – მექანიზატორები, მწყემსები, მევენახეები, საგარეჯოს საზოგადოება, სოფლების ახალგაზრდობა სწორედ მისი ჭიდაობის სანახავად მოდიოდნენ.

სახელი: *ცუგო* (დაბადების მოწმობით გიორგი)

გვარი: *გვარიძიშვილი*

ჩემი გაზაფხული:

დავიბადე 1940 წელს, საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულში.

ვსწავლობდი პატარძეულის სკოლაში.

მეამაყებოდა, რომ ვიზრდებოდი იმ მიწა-წყალზე, სადაც ბუმბერაზი გოგლა დადიოდა, სადაც ქმნიდა ქართული სიტყვით მოჩუქურთმებულ ლექსებს და მოთხრობებს, სადაც ვაზის ნაჟურით ამბობდა საქართველოს სადიდებელ სადღეგრძელოებს და ეფერებოდა ქართულს, თუნდაც მარტოსულ ხეს, - ჩვენს "ჭამპურასა" და "ხვედიას", გვატირებდა მარიტასა და გედიას უიღბლო სიყვარულზე...

მეამაყებოდა ბებერი ციხეების ჩამოშლილი კედლები, ჩვენი სოფლის ვაჟკაცების მეისტორიე...

მეამაყებოდა ჩემი ხალხი, ქედუდრეკელი, სხვა სოფლებისგან განსხვავებული თავისი ცხოვრების წესითა და ადათებით, აი, ისეთი, ნაღდი ქართული...

მეამაყებოდა ჩემი სოფლის ახალგაზრდობის სილამაზე და სიჩაუქე...

მეამაყებოდა, რომ ვიღვიძებდი ქართულ სოფელში მამლების ყივილზე და შეღამებისას საძოვრებიდან მობრუნებული საქონლის სურნელი გვაგრძნობინებდა მზის ჩასვლას...

მიხაროდა ტყემლების და ნუშების ღიმილის შემოფეთება გაზაფხულზე

მიხაროდა პურის ყანაში გაბნეული ყაყაჩოები და ...

... ეს ყველაფერი მახსენებდა, რომ ქართველი ვიყავი და მართლმადიდებელი, ქართული ცა მეხურა ქუდად და ქართული მიწა მედგა საყრდენად.

ვგრძნობდი აქედანვე, რომ ბევრ რამეს მავალებდა ჩემი ქართველობა და ქართული მიწა-წყალი...

ჭიდაობა ადრევე დავიწყე, არ ვიცი, ეს არ იყო რაღაც მოვალეობის მოხდა, ან დღეობაში "გათამაშებული" ჭედილის მოგების ჟინი, არც ლამაზ-ლამაზი გოგონების ღიმილის დამსახურების სურვილი... თავისით მომდიოდა სურვილი- გამომეცადა თავი, არ შემერცხვინა პატარძეული, საგარეჯო, გარეკახეთი...

რაღაცნაირი აღტკინებით ველოდით თბილისში ჭიდაობის ტურნირებზე, შეჯიბრებებზე გამოძახებას. არ გვქონდა გზის ფული. ერთხელ საგარეჯოელების მწვრთნელ შალვა გზირიშვილთან ერთად ფეხით წავედით საგარეჯოდან თბილისში. რა სილაღით, რა მოუთმენლობით გავლიეთ გზა სართიჭალამდე. გზადაგზა ქლიავის ტოტები გადმოგყურებდნენ მაცდურად. მივესეოდით, ჩამოვბრდღვნიდით, თან ჯიბეებს ვივსებდით. უკან ჩვენი, 120 კილოიანი მწვრთნელი საყვედურნარევი დუდღუნით მოგვდევდა...

ჩავიდოდით თბილისში, იქ ახმეტიდან, თელავიდან, კასპიდან, გორიდან, ქარელიდან კარგად ნაპატივები მოჭიდავეები დაგვხვდებოდნენ საბარგო მანქანებით "მობრძანებულები". გამოგვიძახებდნენ გარეკახელებს საჭიდაო მოედანზე და ქლიავისგან მუცელაჭრიალებულები იმ "პატივცემულ" მოჭიდავეებს ისე გავაგორებდით ნახერხში, რომ ჩვენ ერთსაც არ ჩავიმუხლებდით. იმ პერიოდში 7 "მასტერკლასა" მყავდა წაქცეული 0 ქულით.



ადრეული, ცხელი, მწველი ზაფხული:

სკოლა ახალი დამთავრებული მაქვს, 16 წლისა საქართველოს ოთხგზის ჩემპიონი ვარ ქართულ ჭიდაობაში. იმედით, რწმენით, უკვე "ჟილკით" გავდივარ მეტოქეებთან. თბილისში ვართ. გამომიყვანეს ერთი ბუდაგოვი, ბიძამისი დიდი ფიგურაა თბილისში, სამჯერ შემახვედრეს, სამჯერვე ისე ვაგორავე, ფეხზე ვედარ დგება. ახმეტელი თედეევი მიყვირის – ცუგო, მოახრჩე, მოახრჩე, ხომ ხედავ რაც ხდებაო. თბილისში გამარჯვებულს მოსკოვში მიწევს საკავშირო პირველობაზე გამოსვლა. ბუდაგოვს თავისი ძმისშვილის გაგზავნა უნდა. არ წავექცევინე. ესე არ გინდაო, და ვიღაცამ სოფლიდან ქალაქში ჩასულს თურმე მოპარული ფეხსაცმელები "შემომაპარა" იაფად. მეც დავხარბდი, თან ფეხსაცმელებიც თბილისი-პატარძეულის გზაზე ფეხით სიარულში შემომაცვდა. იქვე მტაცა ხელი ვიღაცამ, "მოპარულ" ფეხსაცმელებში, მართალია, ფული მივეცი, მაგრამ მყიდველი აითესა, ვეღარსად ვიპოვე ჩემი სიალალმართლის დასამტკიცებლად... გაიმარჯვა ბუდაგოვის დაგებულმა მახემ... "მომარჭვეს" ციხე. ის ბუდაგოვი მოსკოვში პირველივე მეტოქეს "გაუგორდა" ბეჭებზე. სამართალმა პური ჭამა, მაგრამ მე რა?! ოთხგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობასა და "სამბოში" ციხეში ჩამსვეს.

ცხელი ზაფხულის გაგრძელება:

– ციხე ციხეა, იქ კანონს თვითონ სიმართლე და სამართალი ქმნის. რა მეკეთებინა?! ვინ დაიმორჩილებდა ჭიდაობაში დაუმარცხებელ 16 წლის ბიჭს? მაშინ 16 წლისას ცხოვრებისათვის მომზადებულად თვლიდნენ. ციხეში დავიწყე ჭიდაობების გამართვა. ამყვნენ ციხის უფროსებიც და ახლა ციხის აუღებელი "ციხე-სიმაგრე" ვარ ჭიდაობაში. არ მასვენებს რაღაც, რაღაც კი არა, სიმართლის დადგენა. ვერ ვეგუები უსამართლოდ დაჩაგვრას, სისხლი მიდუღს, გაქცევა მინდა და ჩემს დამღუპველზე შურისძიება... ასე მოვიარე ციხეები – ციხეში სახელმწიფოს კანონებისადმი დაუმორჩილებელმა. ახლა რუსეთის ციხეებში "მიმავლინეს". იქაც მაგარი გამოვდექი ჭიდაობაში. "სამბო" არაფერია, რუსებმა ჭიდაობის რა იციან?! მათში გაბნეულმა გარუსებულმა თათრებმა შეიტანეს ისიც. ქართველი ვიყავი, წინ ვის გავუშვებდი?! ძალაუნებურად ვარღვევდი ციხის შინაგანაწესს...

ციხიდან გადავყევარ, როგორც დაუმორჩილებელი, საშიში პიროვნება "კოლომნაზე" ვერტმფრენს. მე ხელბორკილები მადევს, თავზე "პლაშჩის კაპიშონ" წამოფარებული ვზივარ სალონში. ორი მფრინავია, მცველი და მე. კომის ავტონომიური რესპუბლიკის თავზე ვართ. დაბლა უსასრულო ტყეა. ისე დაბლა მივფრინავთ, მფრინავები ირმებს ათვალიერებენ. გავიხედე და ბორკილები თავისით დამცვივდა (თურმე "ბრაკი" ყოფილა, როგორც შემდეგ გაირკვა, შეცდომით დაუდვიათ ხარისხიანებში), მფრინავები გართულები არიან ირმების თვალიერებაში. ისე დაბლა მივფრინავთ, უზარმაზარი ხეების კენწეროები ქანაობს ვერტმფრენის გადაფრენაზე. მეც რა მინდოდა, ეს ჩემი "კაპიშონიანი" ლაბადა როგორც დამურას ფრთები, ისე გავშალე და გადავხტი. იმდენი ჭკუა ვიხმარე, ტორფიან ადგილებს გავცდი, იქ ჭაობი იყო, ვიცოდი ცოცხალი ვერ გამოვაღწევდი. მდელოზე მომიწია ბედად "დაშვება". გვიან მომიკითხეს ეტყობა მფრინავებმა და თანმხლებმა...შემობრუნდნენ. ისე მოხდა, ისინიც იმ მდელოზე დაეშვნენ. რაციით გადასცემდნენ აეროპორტის ხელმძღვანელობას შექმნილ ვითარებას. გაირკვა, რომ ჩემს საძებნელად უამრავი ცოცხალი ძალა უნდა გადმოესროლათ და თან ძაღლებიც... იმდენი მოვახერხე, თანმხლები დაცვა და ორივე პილოტი "გავთიშე", "რაცია" ხელში ჩავიგდე და აეროდრომის უფროსს დაველაპარაკე. აღმოჩნდა მეგრელი აფხაზეთიდან. შემეხვეწა, ოღონდ ნუ დაგვღუპავ, ვერტმფრენი მილიონი ღირს და რასაც გვეტყვი, იმას გაგიკეთებთ, იმ ციხეში გადაგიყვანთო ...

ასე მოვახერხე "სმერტნიკების" ციხიდან (საიდანაც ცოცხალს აღარავის უშვებდნენ) შედარებით "მსუბუქ" ციხეში მოხვედრა...

სიყვარულს ციხის კედლებიც ვერ იჯერს...

გაზაფხულის პირია. იქ გვიან მოდის გაზაფხული... ციხე, რომელშიც ჩვენ ვიყავით, ტყეში იდგა, მავთულხლართებით, დენის სადენებით, კოშკურებით, ძაღლებით, ძლიერი დაცვით. ახლოს პატარა სოფელია, ციხის მომსახურე პერსონალით დასახლებული.

მარწყვი მწიფს (ჩვენი აზრით) ტყეში. სოფლის ქალები ტყეში მარწყვის საკრეფად გადიან თურმე. ერთხელაც ყვირილის ხმა შემოგვესმა – ქალი განწირული ხმით შველას ითხოვდა. ციხის უფროსის მოადგილემ ერთ ადგილას შეგვყარა და გამომიცხადა, ქართველო, შენს გარდა დათვს ვერავინ შეებრძოლებაო. უცბად ვიგრძენი, რომ ახლა საქართველო ვიყავი. ჩამაცვეს სველი "ტელეგრეიკა", გამიყვანეს ციხის გარეთ, მომცეს ხელში პატარა ხანჯალი და გაავებულ დათვს მიმაყენეს. ბილიკზე მარწყვი გაბნეულიყო, აქეთ-იქით ეყარა კალათები. დათვს ბებია მოეკლა, 16 წლის გულწასულ გოგონას ზედ გადაჰფარებოდა და გამწარებული ღრიალებდა. (ეს კაციჭამია დათვები იყვნენ. სადაც ჩვენ ვიყავით, იქ მიცვალებულებს ვერ მარხავდნენ ზამთარში, მიწა ისე იყო გაყინული. თოვლში მარხავდნენ, გაზაფხულზე დაიძვრებოდა ყინული, თოვლის წყალი მიცვალებულებს იქვე ტბაში ჩაიტანდა და კაციჭამია დათვები, ზამთარგამოტარებულები გვამებს ეტანებოდნენ. მაგრამ, "პირისგემო იცოდნენ" – ნარკომანების და ლოთების გვამებს არ ჭამდნენ). საშინელი სუნი უდიოდა დათვს, იმხელა ხახას აჩენდა, მთლიანად გადამყლაპავდა, თან გოგონასაც არ შორდებოდა. შევეჭიდეთ ერთმანეთს, ვიგრძენი "სკალპი" როგორ გადამაძრო თავზე. გავმწარდი, იქვე ხელი ვტაცე მომცრო ხის მორს და პირში ჩავჩარე, მერე ჭიდაობის ფანდის გამოყენებამდე ხანჯალი ალალ-ბედზე მუცელში ვატაკე და დათვის შიგნეულის სიმყრალემ გულიც ამირია. ხანჯალი მოვუნაცვლე, ვიგრძენი, როგორ დუნდებოდა, ტორებს მიღერებდა, ბრჭყალების ბასრ კვალს ჩემი კანი თან ჩაჰქონდა. როგორც იქნა, ის 380 კილოგრამიანი დათვი მიწაზე ჩაიმზღვლა... გოგონა ჩვენი ციხის უფროსის ქალიშვილი აღმოჩნდა (ჩემთვის), დათვის ტორებს გამოქცეული ქალი – დედამისი, დათვისგან მოკლული მოხუცი – ციხის უფროსის სიდედრი.

დათვისგან დახსნილი ტანია შემდეგში ჩემი სამი ვაჟის დედა გახდა. ჩემი სიდედრი ცოცხალი აღარ არის, ჩემი ციხის უფროსი, ჩემი სიმამრი დღეს ცოცხალია, მოსკოვში ცხოვრობს, ტანია წავიდა მის ჩამოსაყვანად, ძალიან უყვარს საქართველო, ქართული პურ-მარილი და რაღა დაგიმალოთ მეც, მისი ერთადერთი ქალიშვილის გადამრჩენელი,– ერთ დროს მისი ციხის ამფორიაქებელი, ციხეების ბეჭდაუდებელი ფალავანი



და მრავალი ღამის ძილის დამრღვევი... ტანიას და მას ჩვენი პირველი შვილიშვილი გოგონა დახვდებათ, რომელიც სულ რამდენიმე თვისაა...

ჩემი შემოდგომა...

მე ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი ციხეში გავატარე. არავისთვის ცუდი არ გამიკეთებია, მაგრამ ალბათ განგებამ ასე ინება – გამოვიდოდი ციხიდან, გავებმებოდი "ხათაბალაში" და ისევ უკან მაბრუნებდნენ – ვიყავი და დავრჩი ციხის ფალავნად. 16 წლისამ, ოთხგზის ჩემპიონმა დავამთავრე ჩემი "სპორტული სამოქალაქო კარიერა". ვინ გამიყვანდა საკავშიროსა და ევროპაზე ნასამართლევს?! მაგრამ, მე ხომ მახსოვდა, ჩემს თაობას ხომ ახსოვს, აფიშებზე სპეციალურად რომ წერდნენ ჩემს გვარს, ხალხი მეტი მოსულიყო, მეტი დასწრებოდა ჭიდაობას?! ისიც ხომ ტკბილად მახსენდება, ორჯერ ფეხით ჩასულმა საგარეჯოს გუნდმა როგორ მწარედ დავამარცხეთ კასპი, გორი, ქარელი, ახმეტა და პირველი ადგილები ავიღეთ?!

მერე იყო 90-იანი წლები... ეროვნული მოძრაობა... ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ვარ ეროვნული მოძრაობისა. ახლოს ვიყავი ზვიადთან, მერაბთან, ის პირსისხლიანი აპრილის ღამეც ერთად გადავიტანეთ ... ისევ მე მეძებდა, მე მებრძოდა მთავრობა, როგორც ჩანს "ანგარიშგასაწევი კაცი" ვიყავი...

დიდი წონა აქვს ქართველს კავკასიაში. ჯოხარ დუდაევთან გამგზავნა ზვიადმა იარაღისთვის, ჯოხარმა ფულის აღებაზე უარი თქვა – კავკასიაში ვაჟკაც ხალხს იარაღი არ უნდა მიჰყიდო, უნდა აჩუქო...

იყო სამაჩაბლო, იყო აფხაზეთი, იყო დევნა, მაგრამ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა შეუპოვარი აღმოჩნდა ქართველებისათვის ...

– ერთი უფალმა იცის რა გაჭირვება, დამცირების მცდელობა გადამიტანია, სიკვდილისთვისაც ხშირად ჩამიხედავს თვალებში. ციხის ცივ საკნებსა და ზედამხედველებისგან ულმობელი მოპყრობით გულგაყინული ფურცლებს ვანდობდი ჩემს სათქმელს. ბევრმა თეთრმა ქაღალდმა დაიტია ჩემი ტკივილი, ტკივილი სულის, თორემ ფიზიკური არასოდეს მიგრძვნია ისე მწარედ.

მაგრამ, რაც მე 2012 წლის 26 მაისის ღამეს გამომატარეს, ასეთი რამ ალბათ ციხეშიც არ ყოფილა. დამიჭირეს და იმ პირობით გაგიშვებთო –ნაცმოძრაობის ლიდერებმა, თუ ელიზბარ ჯაველიძეს აგინებ, აუგს იტყვი მასზე, შენ ასაკიანი კაცი ხარ, გამოცდილება გაქვს ეროვნულ მოძრაობებში და ხალხი შენს ნათქვამს დაიჯერებსო. ყველაფერთან ერთად, საგარეჯოს რაიონის გამგებლობაც შემომთავაზეს. არ გავყიდულვარ არასოდეს და სიბერეში ქართველობას, ქართულს გავყიდდი, კაცო?! იქით ვაგინე და არც იმათ დამაკლეს, - ფიზიკურად გამისწორდნენ. პირდაპირ ვუთხარი მათ – მოღალატეები ხართ და მოღალატეებთან მე რა მინდა-მეთქი. მე სხვანაირად არ შემეძლო.

კაცური კაცის სახელით შევხვდი ჩემს პირველ შვილიშვილს, მერე რა, რომ გოგონაა, მას სხვები მოჰყვებიან, სახელი უნდა დავუტოვო, სახელი კაცური კაცისა ...

ერთი სურვილი მაქვს – ღმერთმა მომასწროს საქართველოს გაბრწყინებას, გამთლიანებას, "ნიკოფსიიდან დარუბანდამდის" მეხილოს ჩემი სვეგამწარებული საქართველო. სვის გამწარების, დაუმსახურებლად დასჯის სიმწარე კი ყველაზე მეტად ჩემნაირმა ადამიანმა იცის ...

გაბრწყინებული მენახოს ჩემი საქართველო!.

ჩაიწერა თინა ილაურმა

სწავლის მსურველთათვის

განცხადება

ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულება – პროფესიული კოლეჯი, აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 2014–2015 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. *ბუღალტერია*
2. *ოფისის მენეჯერი*
3. *ექთნის თანაშემწე*
4. *კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი*

კოლეჯი გასცემს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიულ დიპლომს.

სასწავლებელში მუშაობს კომპიუტერული კურსები (საოფისე პროგრამები), რომელიც შედის სწავლის საფასურში. გაიცემა კომპიუტერის სერთიფიკატი.

სწავლა შესაძლებელია წარმოებიდან მოუწყვეტლადაც, ამისათვის მუშაობს მოქნილი ინდივიდუალური სასწავლო გრაფიკი.

კოლეჯში მუშაობს სხვადასხვა მიმართულების განმავითარებელი პროგრამები, რომელზედაც სასწავლებელი გასცემს სერთიფიკატის, როგორებიცაა:

1. **ბაბა–ბადის აღმზრდელი**
2. **ბანკის ოპერატორი**
3. **ფარმაცევტის თანაშემწე**
4. **პრაქტიკოსი ექთანი და სხვა**

ყველა აბიტურიენტისათვის და ნებისმიერი მსურველისათვის შესაძლებელია სასურველი სასერთიფიკატო პროგრამის შესწავლა და შესაბამისი სერთიფიკატს აღება. ამისათვის კოლეჯში მუდმივად მუშაობს სპეციალისტ–პროგრამისტთა ჯგუფი.

საგარეჯოს ავტორიზებული პროფესიული კოლეჯის მიერ გაცემული ორი ლეგიტიმური დოკუმენტი – სახელმწიფო პროფესიული დიპლომი და კოლეჯის გერბითა და ბეჭდით დამოწმებული სერთიფიკატი – ორი პროფესიული სპეციალობის აღიარების დამადასტურებელია.

სასწავლებელში სწავლის მსურველმაა ბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. **განცხადება კოლეჯის დირექტორის სახელზე.**
2. **საბაზო ან საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.**
3. **პირადობის მოწმობის ასლი.**
4. **ორი ფოტოსურათი 3X4**

საბუთების მიღება მიმდინარეობს.

საკონტაქტო ინფორმაცია:
მისამართი: ქ.საგარეჯო, ლეონიძის ქ. 33ა
E-mail: iliasagarejo@gmail.com
www.iliaedu.ge
ტ – 0 (351) 242436, 555 513-228, 598 650-849

ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულება (ავტორიზებული პროფესიული კოლეჯი „ილია“)დაფუძნებულია 2000წლის 25 დეკემბერს დამფუძნებელთა საბჭოს გადაწყვეტილებით. მისი იურიდიული მიამართია ქ.საგარეჯო, ლეონიძის ქ. 33ა

სასწავლებელმა თავისი 14წლიანი არსებობის პერიოდში რამდენჯერმე შეიცვალა სახელი,მაგრამ არ შეუცვლია თავისი მიზანი და დანიშნულება. კოლეჯი გამოირჩევა თავისი ხარისხიანი განათლებით, პერსპექტიული დასაქმების პროგრამით, სერიოზული, მაგრამ თბილი დამოკიდებულებით ახალგაზრდა თაობის მიმართ.

კოლეჯის მისიაა - კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება და მათი დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა. ხარისხიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, საუკეთესო კომფორტული სასწავლო გარემოს შექმნა, თავისუფალი, დემოკრატიული და სოციალურად სამართლებრივი გარემოს უზრუნველყოფა.

რაიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის ქართულენოვან მოსახლეობასთან ინტეგრაციის მექანიზმის შექმნა, დანერგვა, პროფესიული განათლება და დასაქმება.

კოლეჯი „ილია“ არის საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ასოცირებული წევრი, რაც ნიშნავს, რომ კოლეჯი იცავს საგანმანათლებლო ეთიკისა და სწავლების მაღალ სტანდარტებს, არის ავტორიზებული და მის მიერ გაცემული დიპლომები აღიარებულია სახელმწიფოს მიერ.

ავტორიზებული პროფესიული კოლეჯი „ილიას“ მიერ გაცემულ დიპლომებს აღიარებს ასეულობით დამსაქმებელი, კერძო და საჯარო სექტორი, მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესი.

თქვენი განათლებისა და პროფესიული განვითარების სამსახურშია ათეულობით პროფესიული, კვალიფიციური მასწავლებელი, გამართული სასწავლო ინფრასტრუქტურა და პრაქტიკის ბაზები.

„ილიას“ კოლეჯს აქვს დაბალი სასწავლო გადასახადი და გადახდის მოქნილი მექანიზმი,რაც ხელსაყრელს და ხელმისაწვდომს ხდის „ილიას“ კოლეჯში სწავლას.

მთელი სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტები ჩართულნი არიან სასწავლო და შემეცნებით–გასართობ ღონისძიებებში. ხშირი ექსკურსიები სხვადასხვა ისტორიული ძეგლების მოსანახულებლად, კონფერენციები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, კაფე-საღამოები და მხიარულთა და საზრიანთა გუნდების შეჯიბრებები მეტად საინტერესო და მიმზიდველს ხდის კოლეჯში სწავლას.

კოლეჯი გამოირჩევა დასაქმების მაღალი მაჩვენებლებით ყველა დარგში.

სასწავლებელი უშვებს ბუღალტრებს, ოფისის მენეჯერებს, ექთნის თანაშემწეებს და კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსებს.

ბუღალტრის სპეციალობაზე სტუდენტები ეუფლებიან აღრიცხვის თეორიას, საგადასახადო სისტემას, ფულის ბრუნვის მექანიზმს. ამიტომ ისინი წარმატებით საქმდებიან ბანკებსა და ყველა ტიპის კერძო და სახელმწიფო საწარმოო დაწესებულებებში ბუღალტრებად და მოლარეებად.

ექთნის თანაშემწეებს ელის ნებისმიერი საავადყოფო, რადგან დღეისათვის ქვეყანა განიცდის ექთნის თანაშემწის კვალიფიკაციის კადრის დეფიციტს.

ოფისის მენეჯერის სპეციალისტების მეტისმეტად დიდი მოთხოვნაა დღეს საქართველოში ყველა დარგში, იქნება ეს კერძო თუ სახელმწიფო ორგანიზაციები, მაღალი დონის საქმისწარმოება ყველა ორგანიზაციას ერთნაირად სჭირდება.

კომპიუტერული ქსელებისა და სიტემების ტექნიკოსების დიდი მოთხოვნაა ამჟამად ყველა ტიპის წარმოება დაწესებულებაში, რადგან დღეს წარმოება არ არსებობს კომპიუტერის გარეშე, ყველგან საჭიროა ქსელის შექმნა და მისი ადმინისტრირება. ტექნიკოსებს თვითდასაქმების დიდი შანსიც აქვთ.

კოლეჯში მოქმედებს განათლების მიღების განსხვავებული მექანიზმიც – ინდივიდუალური გრაფიკი.

სწავლების ეს ფორმა მეტად გამოადგებათ წარმოებაში დასაქმებულ მუშაკებს, სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც გადაწყვეტენ სკოლიდან მოუწყვეტლად სწავლას.

კოლეჯში მუშაობს განმავითარებელი სასერთიფიკატო პროგრამებიც – ფარმაცევტის თანაშემწის, პრაქტიკოსი ექთნის, ბაგა–ბადის აღმზრდელის, სბაჟო წარმომადგენლის, გიდი და სხვა, რაზეც გაიცემა სერთიფიკატი კოლეჯის გერბითა და ბეჭდით დამოწმებული.

ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულების კარი ღიაა ყველა იმათთვის, ვისაც სურს სერიოზული განათლების მიღება და დასაქმება.

მისამართი: ქ.საგარეჯო, ლეონიძის ქ. 33ა
E-mail: iliasagarejo@gmail.com
www.iliaedu.ge
ტ – 0 (351) 242436, 555 513-228, 598 650-849

მილოცვა

დაბადებიდან 60 წლის შესრულებას ვულოცავთ ჩვენს ახლობელ და საყვარელ ადამიანს,ჩვენს მამიდაშვილს **სანდრო ყაჯრიშვილს**. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს და დიდ სიხარულს თავის საყვარელ ოჯახთან ერთად.

ბიძაშვილები ტარიელ და ამირან როსტომაშვილები ოჯახებით

დაბადების დღეს ვულოცავთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსს **ნიკო ჯავახიშვილს.** ვუსურვებთ წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

თანამშრომლები

მადლობა

მადლობას ვუხდით პიროვნებას, რომელმაც უზრუნველყო ჩვენი შვილის – ლევან დალბაშვილის საჭადრაკო ტურნირში მონაწილეობა და საამისოდ გაიღო გარკვეული თანხა

ლევან დალბაშვილის მშობლები

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა და გამგეობის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ფრიდონ ბურდულს დედის

ნორა ბურდულის

გარდაცვალების გამო.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო და საკრებულოს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე საკრებულოს თავმჯდომარეს ფრიდონ ბურდულს დედის

ნორა ბურდულის

გარდაცვალების გამო.

რუსუდან ხარძიანი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს ფრიდონ ბურდულსა და ნანა ლაფაჩიშვილს დედისა და დედამთილის

ნორა ბურდულის

გარდაცვალების გამო